პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის
1920 წლის
3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979
წელი
პარასკევი
13
აპრილი
№ 86
(17431)
□
ფასი
2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიცხოვროთ, ვიშრომოთ კომუნისტურად!

მონაწილეებს საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციისა — „სოციალისტური შეჯიბრება, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობა მასების შემოქმედებითი აქტიურობისა და ახალი ადამიანის აღზრდის მძლავრი საშუალება“

ძვირფასო ამხანაგებო!

გულითადად მივესალმები სოციალისტური შეჯიბრების განვითარების, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობის აქტუალური ამოცანებისადმი მიძღვნილი საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მონაწილეებს.

თქვენი კონფერენცია მიმდინარეობს იმ დღეებში, როცა ჩვენი ქვეყანა აღნიშნავს პირველი ხუთწლედის 50-ე წლისთავსა და ლენინური კომუნისტური შაბათობების 60 წლისთავს. იგი მიმდინარეობს ლენინგრადში — რევოლუციის აკვანში, სახელოვანი საბრძოლო და შრომითი ტრადიციების ქალაქში. აქ ნახევარი საუკუნის წინათ ქარხანა „კრასნი ვიბორჟეცში“ დაიდო პირველი კოლექტიური ხელშეკრულება სოციალისტური შეჯიბრების შესახებ. ლენინგრადელები ყოველთვის იყვნენ იმ შესანიშნავ პატრიოტულ თაოსნობათა ინიციატორები, რომლებსაც მთელი ქვეყანა ეხმაურებოდა ხოლმე.

სოციალისტური შეჯიბრება, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობა პარტიას მიაჩნია არა მარტო შრომითი წარმატებების გამრავლების, მასშტაბური ეკონომიკური ამოცანების დაჩქარებული გადაწყვეტის მძლავრ ბერკეტად, არამედ მასების კომუნისტური აღზრდის უმნიშვნელოვანეს საშუალებად. შეჯიბრება კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს კოლექტივების ზნეობრივ ატმოსფეროზე, საბჭოთა ადამიანებისათვის ქვეყნის ბატონ-პატრონის გრძნობის ჩანერგვაზე, სოციალისტური დემოკრატიის განვითარებაზე, მთელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე.

ახლა ამ პატრიოტულმა მოძრაობამ შეიძინა თვისებრივად ახალი ნიშნები, ნამდვილად საყოველთაო-სახალხო გახდა. შეჯიბრების მონაწილეთა ყურადღების ცენტრშია ბრძოლა განვითარებული სოციალიზმის შესაძლებლობათა სრული რეალიზაციისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის განუხრელი ამაღლებისათვის.

შეჯიბრება სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ახალი ცხოვრების წარმატებით მშენებელი მილიონობით მშრომელის ინტერნაციონალური მოძრაობა გახდა.

1980 წელს ჩვენი ქვეყანა, მთელი პროგრესული კაცობრიობა საზეიმო ვითარებაში აღნიშნავს დიდი ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს. საბჭოთა ადამიანების ღირსების საქმეა ლენინის იუბილეს ახალი შრომითი გამარჯვებებით, შემოქმედებითი მიღწევებით შეხვდნენ, მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი ეტაპი ერთსულოვანი, დამკვრელური მუშაობით აღნიშნონ. პარტია ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა მოქალაქეს მოუწოდებს იცხოვრონ, იმუშაონ და იბრძოლონ ლენინურად, კომუნისტურად.

დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი კონფერენცია, მისი რეკომენდაციები შესამჩნევ წვლილს შეიტანს სოციალისტური შეჯიბრების სრულყოფაში, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობაში, ახალი ადამიანის — მგზნებარე პატრიოტისა და ინტერნაციონალისტის აღზრდაში.

ნაყოფიერ მუშაობასა და დიდ შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებ კონფერენციის მონაწილეებს.

ლ. ბრეჟნევი.

ქირნახულს დაბინავება უნდა

დაძაბულია ხუთწლედის მეოთხე წელი რესპუბლიკის მიწათმოქმედთათვის. ისინი იბრძვიან არა მარტო მიმდინარე წლის დავალებების შესასრულებლად, არამედ იმისთვისაც, რომ უხვი მოსავლის მოყვანით დაძლიონ მზესუმზირას, ხილის, ყურძნის და სხვა პროდუქტების დამზადებაში სამი წლის მანძილზე დაშვებული ჩამორჩენა. ამ სერიოზული ამოცანის გადაჭრის კონკრეტული გზებია დასახული სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში „1979 წელს მოსავლის აღების, დამზადების უზრუნველყოფისა და 1979-80 წლის პერიოდში პირუტყვის წარმატებით გამოზამთრების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“, რომელიც ამ დღეებში გამოქვეყნდა პრესაში.

ეს მნიშვნელოვანი დოკუმენტი კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, პარტიულ ორგანიზაციებს, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, ბევრ სამინისტროსა და უწყებას მოსავლის აღების სამუშაოებისათვის დროული მომზადების და ჩატარების, მემცენარეობის პროდუქტების დამზადების, ფერმებში საკვების საკმაო მარაგის შექმნის კონკრეტულ სამოქმედო პროგრამას უსახავს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მოითხოვენ, რომ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის აღებისა და საკვების დამზადების დაწყებამდე სულ ბევრი ორ კვირაში მომზადდეს მარცვლეულის, სილოსის, კარტოფილისა და ჭარხლის ასაღები კომბაინები, მწკრივთასამკელები, საკვების დასამზადებელი მანქანები და მოსავლის ასაღები სხვა ტექნიკა. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მისი შეკეთების ხარისხს.

მოსავლის ასაღები ტექნიკის მომზადებისათვის დროულად იზრუნეს გორის, კასპის, საგარეჯოს, წითელწყაროს, თელავის, ყვარლის და სხვა რაიონების მექანიზატორებმა. მაგრამ ტრაქტორებისა და კომბაინების რემონტი შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით ჭიანურდება ახალქალაქის, ხაშურისა და თეთრი წყაროს რაიონებში.

სადღეისო ამოცანაა რესპუბლიკის პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, შესაბამისმა სამინისტროებმა და უწყებებმა შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რათა უზრუნველყონ მაღალი ხარისხის მარცვლეულის, ჩაის ფოთლის, ყურძნის, ხილის, ბოსტნეულის და საკვების წარმოება და თავიდან აიცილონ ამ პროდუქტების დანაკარგები აღების, დასამზადებელ პუნქტებსა და შენახვის ადგილებში გადაზიდვის დროს.

არ უნდა განმეორდეს შარშანდელი მწარე გაკვეთილი, როცა მოსავლის აღების დროს გამოჩენილი დაუდევრობის გამო ქარელის, გორის, ახალქალაქისა და სხვა რაიონებში დიდძალი ხილი და ბოსტნეული დაიკარგა. ეს იმიტომ ხდება, რომ ჯერ კიდევ ყველა რაიონში, ყველა მეურნეობაში არ დანერგილა მოსავლის აღების სამუშაოთა კომპლექსური ორგანიზაციის იპატოვოელთა მოწინავე გამოცდილება, რომელიც შარშან უნარიანად გამოიყენეს სიღნაღის, მახარაძის, ყვარლისა და სხვა რაიონებში, რითაც მნიშვნელოვნად აამაღლეს მექანიზატორთა დღიური გამომუშავება, შეამცირეს საწვავის ხარჯი და, რაც მთავარია, მოსავლის დანაკარგები.

ყოველმხრივ მხარდაჭერას იმსახურებს ჩაის ფოთლის უტაროდ გადაზიდვის ინგირელთა და ლაითურელთა სასარგებლო გამოცდილება, რომლის მასობრივი დანერგვა მილიონობით მანეთის ეკონომიკურ ეფექტს მოგვცემს.

ალოობის წარმატებას კადრები, მათი სწორი განაწილება განსაზღვრავს. იქ, სადაც პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან მექანიზატორების მომზადებას, რის გამოც აგრეგატებს ორ ცვლად ვერ ამუშავებენ, ძალზე დაბალია ტექნიკის დატვირთვა. მაგალითად, შარშან, შუა მკაში ბოლნისის რაიონში, მარცვლეულის ასაღები კომბაინის საშუალო-დღიური გამომუშავება მხოლოდ 2,5 ჰექტარი იყო, რაც რესპუბლიკური შესაბამისი მაჩვენებლის ნახევარზე ნაკლებია.

მოსავლის აღების ყველა მონაწილეს, უწინარეს ყოვლისა, მექანიზატორებს, რომელთა არმიას წლეულს 6900-ზე მეტი ახალბედა შეემატა, ევალებათ გამოავლინონ განსაკუთრებული ორგანიზებულობა, მაქსიმალური უკუგებით გამოიყენონ თითოეული ტრაქტორი, კომბაინი, მთელი ტექნიკა. აგრეგატები უნდა დაკომპლექტდეს მაღალკვალიფიციური მექანიზატორებით. მათ შორის უნდა გაჩაღდეს სოციალისტური შეჯიბრება შრომის უმაღლესი ნაყოფიერების მისაღწევად, რათა მხვნელ-მთესველებმა მოსავალი სწრაფად, უდანაკარგოდ აიღონ.

პარტიულმა კომიტეტებმა კიდევ უფრო ფართოდ უნდა გაშალონ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, სწორად გაანაწილონ კომუნისტები, აამაღლონ მთელი აქტივის როლი და პასუხისმგებლობა წარმოების გადამწყვეტ უბნებზე მოსავლის სრული დაცვა-შენახვისათვის, სწრაფი ტრანსპორტირებისა და ხარისხიანი გადამუშავებისათვის ბრძოლის საქმეში.

უფრო ეფექტიანად უნდა იყოს გამოყენებული ალოობის მონაწილეთა შრომის ანაზღაურების, შეჯიბრებაში მიღწევებისათვის მათი მატერიალური და მორალური წახალისების პრინციპები, რომლებსაც დიდი ადგილი აქვთ დათმობილი დადგენილებაში.

მოსავლის უდანაკარგოდ დაბინავება საყოველთაო საქმეა. მისი წარმატება დიდად არის დამოკიდებული სოფლის მეურნეობისათვის ტექნიკის, საწვავის, სათადარიგო ნაწილების მომწოდებელი საწარმოების, ავტოტრანსპორტელთა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შეფების მონდომებულ მუშაობაზე. ყველა ეს რგოლი ერთ ურთიერთშეთანხმებულ ორგანიზმს უნდა წარმოადგენდეს, რომელიც დაგეგმილი რაოდენობის მოსავლის მიღებას უზრუნველყოფს. სამწუხაროდ, გაზაფხულის პირველმავე თვემ გვიჩვენა, რომ ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას უჭიანურებენ გამოწერილი მანქანების, მოწყობილობების, სათადარიგო ნაწილების მიღებას, რის გამოც ტექნიკა მთელი დატვირთვით არ მუშაობს.

მოსავლის აღებისათვის სამზადისში შეუნელებელ ყურადღებას საჭიროებს საკვების დამზადებასთან დაკავშირებული სამუშაოები, პირუტყვის გამოზამთრებისათვის ზრუნვა. პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, მეურნეობათა ხელმძღვანელებმა უნდა დააზუსტონ შექმნილი პირობების გათვალისწინებით საკვების დამზადების დავალებანი იმ ვარაუდით, რომ თითოეულ მეურნეობაში მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდეს თივის, სენაჟის, სილოსის, ბალახის ფქვილის, გრანულირებული და დაბრიკეტებული საკვების დამზადების გეგმები, აგრეთვე გამოიყენონ მეურნეობაში საკვების რესურსების დამატებითი დაგროვებისა და რაციონალური გამოყენების ყველა რეზერვი. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმას, რომ საკვები კულტურების ნათესები მიუჩინონ საკვებმომპოვებელ მექანიზებულ ბრიგადებსა და რგოლებს და უზრუნველყონ ისინი უხვი მოსავლის მოყვანისათვის საჭირო ტექნიკითა და სასუქებით.

ლაპარაკიც კი ზედმეტია იმაზე, რომ პირუტყვის წარმატებით გამოზამთრება, მეცხოველეობის გეგმების შესრულება შეუძლებელია, თუ დროულად არ აშენდა გეგმით გათვალისწინებული პირუტყვის სადგომები და კომპლექსები.

სამშენებლო ორგანიზაციებმა, საქსახსოფლტექნიკამ და სხვა უწყებებმა, რომლებიც სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს აწარმოებენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, უნდა დააჩქარონ 1979 წლის გეგმით გათვალისწინებული მეცხოველეობის სადგომების და საკვები საამქროების მშენებლობა და ამოქმედება, საექსპლოატაციოდ გადასცენ ისინი არაუგვიანეს 1979 წლის ნოემბრისა. განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს ისეთი ობიექტები, რომლებიც ჯერ კიდევ შარშან უნდა ამოქმედებულიყო, მაგალითად, აბაშის რაიონის სუჯუნის მეცხოველეობის კომპლექსი 12 ათასი სული ძროხისთვის და დმანისის რაიონის დეკეულების გამოსაზამთრებელი კომპლექსი. ყოვლად შეუწყნარებელია, რომ სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ ორივე კომპლექსის მშენებლობაზე მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გეგმები კვლავ ჩაშალა.

ალოობა მოსავლისათვის ბრძოლის დამაგვირგვინებელი ეტაპია. მისი დამკვრელურად მოწყობა მიწათმოქმედთა პატრიოტული ვალია. ამ ვალის პირნათლად მოხდა ნიშნავს წარმატებით მოვემზადოთ და სანიმუშოდ მოვაწყოთ მკა, ქვეყანას მივცეთ სოფლის მეურნეობის მეტი პროდუქტები, მეცხოველეობა უზრუნველვყოთ საკვების მაქსიმალური მარაგით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

დათვალიერება-კონკურსის გამარჯვებულნი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფსაბჭომ და ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის დანერგვისათვის მუშაობის საუკეთესო ორგანიზაციის რესპუბლიკური დათვალიერება-კონკურსის შედეგები.

ერთობლივ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკური დათვალიერება-კონკურსის პერიოდში, 1978 წლის 1 ივლისიდან 31 დეკემბრამდე, რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გააქტიურდა მუშაობა სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებთან, სამინისტროებსა და უწყებებთან არსებული მუდმივმოქმედი კომისიები უფრო ოპერატიულად და კონკრეტულად წყვეტენ პროდუქციის ტექნიკური დონის ამაღლებისა და ხარისხის გაუმჯობესების, ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის დანერგვის საკითხებს.

თუ მეათე ხუთწლედის დამდეგს რესპუბლიკის საწარმოები უშვებდნენ სახელმწიფო ხარისხისნიშნიან 247 ნაწარმს (2,7 პროცენტს), 1979 წლის 1 იანვრისათვის ასეთი ნაწარმის რიცხვმა შეადგინა 1.616, ანუ 12 პროცენტი.

დათვალიერება-კონკურსის პერიოდში კარგად იმუშავეს საქართველოს სსრ კვების მრეწველობისა და მსუბუქი მრეწველობის სამინისტროებმა, სამრეწველო საწარმოებმა: ფოთის ჰიდრომექანიზაციის მანქანათსაშენებელმა ქარხანამ, თბილისის „მიკროძრავის“ ქარხანამ, ბათუმის ხისდამმუშავებელმა კომბინატმა, ქარხანა „სოხუმხელსაწყომ“, ქუთაისის პურკომბინატმა, საწარმოო გაერთიანება „თბილღვინომ“, თბილისის 1 მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკამ.

აღნიშნულ პერიოდში მნიშვნელოვნად გააქტიურეს მუშაობა ქალაქების — თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, რუსთავის, სოხუმის, გორის, ჭიათურის, ცხინვალის, ზუგდიდის, გაგრის, აგრეთვე ხაშურის, ზესტაფონის, გურჯაანის, სიღნაღის, მცხეთის რაიონების საწარმოებმა.

მარტო დათვალიერება-კონკურსის პერიოდში იმ საწარმოების რიცხვი, რომლებიც სახელმწიფო ხარისხისნიშნიან პროდუქციას ამზადებენ, ერთიორად გაიზარდა, ხოლო იმ საწარმოებისა, რომლებმაც დანერგეს ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემა — ერთიხუთად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფსაბჭომ და ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებს, ქ. თბილისის რაიონებს შორის დათვალიერება-კონკურსში გამარჯვებულებად ცნეს და მიანიჭეს:

პირველი ადგილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოს და ალკკ ცენტრალური კომიტეტის წითელი დროშა, პირველი ხარისხის დიპლომი და პირველი ფულადი პრემია —

თბილისის ლენინის რაიონს;

მეორე ადგილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოს და ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე ხარისხის დიპლომი და მეორე ფულადი პრემია —

ქალაქ ქუთაისს;

მესამე ადგილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოს და ალკკ ცენტრალური კომიტეტის მესამე ხარისხის დიპლომი და მესამე ფულადი პრემია —

ქალაქ ბათუმს,
ხაშურის რაიონს,
გურჯაანის რაიონს,
ზესტაფონის რაიონს,
ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონს;

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა შორის დათვალიერება-კონკურსის გამარჯვებულებს მიენიჭათ:

პირველი ადგილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოს და ალკკ ცენტრალური კომიტეტის წითელი დროშა, პირველი ხარისხის დიპლომი და პირველი ფულადი პრემია —

ფოთის ჰიდრომექანიზაციის მანქანათსაშენებელ ქარხანას;

მეორე ადგილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოს და ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე ხარისხის დიპლომი და მეორე ფულადი პრემია —

თბილისის „მიკროძრავის“ ქარხანას;

ბათუმის ხისდამმუშავებელ კომბინატს;

მესამე ადგილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოს და ალკკ ცენტრალური კომიტეტის მესამე ხარისხის დიპლომი და მესამე ფულადი პრემია —

ქარხანა „სოხუმხელსაწყოს“;
ქუთაისის პურკომბინატს,
საწარმოო გაერთიანება „თბილღვინოს“,

თბილისის 1 მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკას.
(საქინფორმი).

მაღლა აღვმართოთ შეჯიბრების დროშა

გაიხსნა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია

ლენინგრადი, 12 აპრილი. (საკდესი). დღეს სმოლნში მუშაობა დაიწყო სრულიად საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკულმა კონფერენციამ „სოციალისტური შეჯიბრება, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობა — მასების შემოქმედებითი აქტიურობის განვითარებისა და ახალი ადამიანის აღზრდის მძლავრი საშუალება“.

კონფერენციაში მონაწილეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების, სამინისტროებისა და უწყებების, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, მეცნიერებისა და კულტურის დაწესებულებების პასუხისმგებელი მუშაკები. დარბაზში არიან სოციალისტური შეჯიბრების ვეტერანები, პირველი ხუთწლედების გმირები, წარმოების ნოვატორები და მოწინავენი, მუშა ახალგაზრდობის წარმომადგენლები. აქვე არიან მოძმე სოციალისტური ქვეყნების დელეგაციები.

კონფერენცია გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგემ ე. მ. ტიაჟელნიკოვმა.

მქუხარე ტაშით შეხვდნენ კონფერენციის მონაწილენი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მისალმებას. მისალმება წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, პარტიის ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ვ. რომანოვმა.

კონფერენციის მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენება „სოციალისტური შეჯიბრების მძლავრი აღმშენებლობითი ძალა“. მოხსენება გააკეთა გ. ვ. რომანოვმა.

ახალი საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში შეძენილი გამოცდილებისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულება ჩვენი ლენინური პარტიის შესანიშნავი ტრადიციაა, თქვა მან. ამის ახალი დამაჯერებელი დადასტურებაა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება მიმდინარე კონფერენციის მოწყობის შესახებ. კონფერენციის მონაწილეებისადმი მისალმებაში ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა მთელი სიღრმით გვიჩვენა შეჯიბრების როლი სახალხო მეურნეობის შემდგომ აღმავლობასა და მასების შემოქმედებითი აქტიურობის ამაღლებაში, გამოჰყო მისი თვისებრივად ახალი თავისებურებანი თანამედროვე ეტაპზე, განსაზღვრა შემდგომი განვითარების პერსპექტივები.

ეს დებულებანი, ხაზი გაუსვა მომხსენებელმა, პარტიის მოქმედების საბრძოლო პროგრამაა მილიონობით საბჭოთა ადამიანის პატრიოტული მოძრაობის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფისა და ეფექტიანობის ამაღლების საქმეში. კონფერენციის ყველა მონაწილის სახელით გ. ვ. რომანოვმა გულითადი მადლობა უძღვნა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, მის პოლიტბიუროს, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს წარმატებათა კეთილი სურვილებისათვის.

ორატორმა ილაპარაკა იმის შესახებ, თუ როგორ ვითარდება სოციალისტური შეჯიბრების ლენინური იდეები, როგორ მდიდრდება მასების შემოქმედებითი მუშაობის ახალი ფორმებით, როგორ გადაიქცა ჩვენი საზოგადოების განვითარების მძლავრ მამოძრავებელ ძალად. ახლა შრომითი მეტოქეობის როლი და ადგილი ჩვენს ცხოვრებაში საკანონმდებლო წესითაა დამკვიდრებული სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციაში. მომხსენებელმა ხაზი გაუსვა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ლ. ი. ბრეჟნევის ნაშრომებს მომწიფებული სოციალიზმის პირობებში შეჯიბრების განვითარებისათვის.

მოხსენებაში დიდი ადგილი დაეთმო შეჯიბრებისა და ისეთი პრობლემების გადაჭრის ურთიერთკავშირს, როგორიცაა: კოლექტივისა და პიროვნების სოციალური განვითარება, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ჩამოყალიბება, წარმოების მართვაში მშრომელთა ჩაბმა.

გ. ვ. რომანოვი შეეხო შეჯიბრების საერთაშორისო მნიშვნელობას და ხაზი გაუსვა, რომ მისი ეფექტიანი აღმზრდელობითი ზემოქმედება დადასტურებულია არა მარტო ჩვენი ქვეყნის მაგალითით, არამედ მოძმე სოციალისტური ქვეყნების გამოცდილებითაც.

ორატორმა დიდი ყურადღება დაუთმო შეჯიბრების განვითარებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორგანიზატორული და იდეურ-პოლიტიკური მუშაობის პრობლემებს. პარტია, თქვა მან, შეჯიბრებას მაღალ იდეურობასა და მიზანმიმართულებას, ფართო გაქანებასა და ორგანიზებულობას ანიჭებს.

ხუთწლედის ადამიანები

სულ მალე ჩვენს რესპუბლიკაში ჩაის კრეფის ახალი სეზონი დაიწყება. წელს ქართველმა მეჩაიეებმა გეგმით 432 ათასი ტონა ფოთოლი უნდა მისცენ სამშობლოს, მაგრამ ეს მიჯნა მნიშვნელოვნად იქნება გადალახული. ჩაის კულტურით დაკავებული ფართობები მომავალში მკვეთრად გაიზრდება და შეიქმნება მისი გადამმუშავებელი მძლავრი სამრეწველო ბაზა.

რეკონსტრუქციის პროცესშია ბევრი მომქმედი ჩაის ფაბრიკა, შენდება ახალი საწარმოები. ახლახან აჭარაში მწყობრში ჩადგა პირველი ჩაის საწონი ფაბრიკა, რომელიც ყოველდღიურად შვიდ ტონაზე მეტ ბაიხაო ჩაის გამოუშვებს. საწარმოს პირველი პროდუქცია ლენინგრადელ მშრომელებს გაეგზავნათ. ჩაის პირველ პარტიებს მალე ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებიც მიიღებენ.

სურათზე: აჭარის ჩაის საწონი ფაბრიკის კონტროლიორი რუსუდან ჯაფარიძე მზა პროდუქციით.

ა. ანასტასიევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საკდესის ცნობა

დამთავრდა „სოიუზ-33“ ხომალდის ორბიტული ფრენა

კოსმონავტები რუკავიშნიკოვი და ივანოვი დედამიწაზე დაბრუნდნენ

„სოიუზ-33“ ხომალდის საერთაშორისო ეკიპაჟი: ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რუკავიშნიკოვი და მკვლევარი კოსმონავტი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქე გიორგი ივანოვ ივანოვი დედამიწაზე დაბრუნდნენ.

„სოიუზ-33“ კოსმოსური ხომალდის დასაშვები აპარატი 1979 წლის 12 აპრილს მოსკოვის დროით 19 საათსა და 35 წუთზე დაჯდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიის გათვალისწინებულ რაიონში, ქალაქ ჯეზყაზღანის სამხრეთ-აღმოსავლეთით 320 კილომეტრზე.

ორბიტიდან დასაშვებად მომზადებისას კოსმონავტებმა ჩაიცვეს სკაფანდრები, შეამოწმეს დასაშვები აპარატის ჰერმეტულობა, გააკონტროლეს ხომალდის ძირითადი სისტემები. შემდეგ ეკიპაჟმა მოაწყო ხომალდის ორიენტაცია სივრცეში, ხოლო მოსკოვის დროით 18 საათსა და 47 წუთზე საბორტო საპროგრამო-დროებრივი მოწყობილობის სიგნალით ჩაირთო სამარქაფო სამუხრუჭო ძრავის დანადგარი. ძრავის მუშაობის დამთავრების შემდეგ მოხდა ხომალდის ნაკვეთურების განცალკევება და დასაშვები აპარატი ჩამოშვების ტრაექტორიაზე გადმოვიდა. განსაზღვრულ სიმაღლეზე ამოქმედდა საპარაშუტო სისტემა, უშუალოდ დედამიწასთან ჩაირთო რბილად დაშვების ძრავები, რის შემდეგაც დასაშვები აპარატი რბილად დაჯდა დედამიწაზე.

საძიებო-მაშველმა კომპლექსმა ღამის პირობებში უზრუნველყო დასაშვები აპარატის სწრაფი აღმოჩენა და კოსმონავტთა გაყვანა დაშვების რაიონიდან.

ამხანაგები რუკავიშნიკოვი და ივანოვი დედამიწაზე დაშვების შემდეგ თავს ჯანმრთელად გრძნობენ.

კოსმონავტიკის დღეს მიეძღვნა

მოსკოვის მშრომელთა და დედაქალაქის გარნიზონის მეომართა წარმომადგენლების კრება, რომელიც 11 აპრილს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიმართა, მიეძღვნა კოსმონავტიკის დღეს. მოხსენება გააკეთა „ინტერკოსმოსის“ საბჭოს თავმჯდომარემ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ბ. ნ. პეტროვმა.

მიფრინავს „კოსმოს-1092“

1979 წლის 12 აპრილს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1092“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამომთვლელი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდესი).

მ. მენლი მოსკოვიდან გაემგზავრა

12 აპრილს იამაიკის პრემიერ-მინისტრი მაიკლ მენლი მოსკოვიდან ლენინგრადს გაემგზავრა.

იამაიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ აეროდრომზე პრემიერ-მინისტრი გააცილეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა, სსრ კავშირის კულტურის მინისტრმა პ. ნ. დემიჩევმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა. (საკდესი).

თვალსაჩინო აგიტაციის რესპუბლიკური დათვალიერება

14-15 აპრილს რესპუბლიკაში ეწყობა მშენებარე და ასამუშავებელ ობიექტებზე თვალსაჩინო აგიტაციის რესპუბლიკური დათვალიერება. ამასთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეები, რესპუბლიკის იდეოლოგიურ დაწესებულებათა წარმომადგენლები, ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები.

თათბირზე საგანგებო ყურადღება დაეთმო მშენებელთა წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის იდეოლოგიური უზრუნველყოფის, სოციალისტური შეჯიბრების ქმედითობისა და საჯაროობის, შრომის პროგრესული მეთოდების დანერგვის, საშენი მასალების მომჭირნეობით ხარჯვის საქმეში თვალსაჩინო პოლიტიკური აგიტაციის მრავალფეროვანი საშუალებების უფრო სრულყოფილად გამოყენების საკითხებს. (საქინფორმი).

კულტურული გაცვლა ხალხებს აახლოვებს

12 აპრილს თბილისში საზეიმოდ გაიხსნა „ბელგიის დღეები სსრ კავშირში“, რომელიც მოაწყვეს საბჭოთა კავშირ-ბელგიის მეგობრობის საზოგადოებამ და ბელგია-სსრ კავშირის მეგობრობისა და თანამშრომლობის“ ასოციაციამ.

„ბელგიის დღეების“ გახსნაზე თავი მოიყარეს ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებმა.

საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. მელაძე მიესალმა ბელგიელ სტუმრებს.

გ. მელაძემ ილაპარაკა საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის წარმატებით განვითარებაზე, კერძოდ ორი წლის წინათ ბელგიაში მოწყობილ საბჭოთა კავშირის დღეებზე, რომელშიც საქართველოს სს რესპუბლიკა მონაწილეობდა. მაშინ ლიმბურგში საქართველო ფართოდ იყო წარმოდგენილი.

„ბელგიის დღეების“ გახსნაზე გამოვიდა დელეგაციის ხელმძღვანელი, დეპუტატი ლინბურგის პროვინციისაგან ემილ ჰენდრიკმანაერტსი. დელეგაციის წევრთა სახელით მან მასპინძლებს მხურვალე მადლობა გადაუხადა გულთბილი მიღებისათვის.

— ამ შეხვედრამ, — თქვა მან, — ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ კულტურის დარგში ჩვენი კონტაქტები ხალხთა დაახლოების სწორი გზაა. ამგვარი შეხვედრები განამტკიცებს ჩვენი ქვეყნების ხალხთა მეგობრობასა და თანამშრომლობას.

შეკრებილებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს ბელგიური ფოტოხელოვნების ოსტატთა ნამუშევრების გამოფენა, ნახეს ბელგიის ცხოვრების სხვადასხვა მხარის ამსახველი დიაპოზიტივები.

დღეების პროგრამაშია ქორეოგრაფიული ანსამბლის „იმაგო ტილის“, საერთაშორისო კონკურსის ლაურეატის პიანისტ შანტელ ბოეცის კონცერტები. სახვითი ხელოვნების მოყვარულთ შეუძლიათ დაათვალიერონ ბელგიელი გრაფიკოსების ნამუშევრებისა და ხელოვნების შესახებ წიგნების გამოფენა. რესტორანი „არაგვი“ მსურველთ იწვევს ფლანდრიული კერძების სადეგუსტაციოდ.

გაიმართება აგრეთვე შეხვედრები სტუდენტ ახალგაზრდობასთან, თბილისის, გორის, რუსთავის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან.

□

„ბელგიის დღეების“ გახსნასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ჩერქეზიამ მიიღო ბელგიის დელეგაციის წევრები. შეხვედრაზე ილაპარაკეს სსრ კავშირის, კერძოდ, საქართველოს სს რესპუბლიკისა და ბელგიის კულტურული ურთიერთობის განვითარებაზე. (საქინფორმი).

XXI საუკუნის კარიბჭესთან

13 აპრილი საბჭოური მეცნიერების დღეა

სკკპ XXV ყრილობამ მეცნიერების ფუნდამენტური მიმართულებების განუხრელ განვითარებასთან ერთად დააყენა მისი ცხოვრებასთან შემდგომი დაახლოების, მეცნიერული აღმოჩენების ხორცშესხმის დიდმნიშვნელოვანი საკითხები.

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობამ რესპუბლიკის მეცნიერებს, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს დიდმნიშვნელოვანი ამოცანები დაუსახა — ყველაზე პერსპექტიული მიმართულებებით კვლევის შემდგომი განმტკიცება, მეცნიერული შრომის ეფექტიანობის ამაღლება.

ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიისა და სხვა სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებს ამ მხრივ მნიშვნელოვანი წარმატებები აქვთ მოპოვებული.

დღეს მოგითხრობთ ერთ-ერთი მათგანის მუშაობაზე.

ძიება დროის კარნახით

წერილი ერთი სამეცნიერო დაწესებულებიდან

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ქცევის ფიზიოლოგიის შემსწავლელ ლაბორატორიას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს ამ საქვეყნოდ ცნობილი სამეცნიერო დაწესებულების საქმიანობაში. ათეული წლების განმავლობაში ხომ მას სათავეში ედგა აკადემიკოსი ივანე ბერიტაშვილი. მისი შეუვალი მეცნიერული ლოგიკა და მიზნის სიცხადე განსაზღვრავდა არა მარტო ლაბორატორიის, არამედ მთელი ინსტიტუტის საქმიანობასა და ავტორიტეტს. მისი მეცნიერული ანალიზი, რჩევა და მითითება განაპირობებდა ფიზიოლოგიის დარგში ქართველ მეცნიერთა ყოველ წარმატებას.

რამდენიმე წელია ივანე ბერიტაშვილი აღარ არის. 1975 წლიდან მის ნაამაგარ ლაბორატორიას სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი მიხეილ ხანანაშვილი ხელმძღვანელობს. დიდი მასწავლებლის ხსოვნისადმი პატივისცემა და მოკრძალება აქ ყველაფერში იგრძნობა...

ლაბორატორიის ტრადიციულ თემას — მეხსიერების შესწავლას ახლაც ძირითადი ადგილი უჭირავს, თუმცა, შეიძლება ითქვას, მას ახალი ასპექტით იკვლევენ. ლაბორატორია ამჟამად ყურადღებას უთმობს მეხსიერების ინფორმაციული გადატვირთვის პრობლემებს, მეხსიერების პათოლოგიას, მის პროფილაქტიკას და მკურნალობას. ამით გვერდი როდი აუვლიათ თემის ძველი ინტერპრეტაციისათვის. არა, თუ რამეს მიაღწიეს ბოლო წლების განმავლობაში, მხოლოდ იმით, რომ მტკიცედ დადგნენ ლაბორატორიაში ჩამოყალიბებული კონცეფციების ნიადაგზე და ამავე დროს, როგორც აქ უყვართ თქმა, დაეყრდნენ ბერიტაშვილისა და პავლოვის სკოლების თვალსაჩინო წარმომადგენელთა მხრებს და ამ საშუალებით ბევრი ახალი რამ დაინახეს და გააკეთეს.

● ●

ეს პრობლემა მესამე წელია, რაც ლაბორატორიის კაბინეტებში მუშავდება. კონკრეტული საკითხი, რომელიც თვით ცხოვრებამ დააყენა მეცნიერთა წინაშე, საყურადღებო და ანგარიშგასაწევია არა მარტო თეორიული, არამედ უაღრესად პრაქტიკული მნიშვნელობით. საქმე ეხება უმაღლესი ნერვული მოქმედების პათოლოგიის შესწავლას, რომელსაც იწვევს თავის ტვინის ინფორმაციული გადატვირთვა დროის უკმარისობის პირობებში.

როგორც ცნობილია, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ასეთი ბობოქარი განვითარების პერიოდში თითქმის სავსებით გარდაიქმნა ადამიანის ცხოვრების, მისი შრომითი მოღვაწეობის ხასიათი. ახალი პროფესიების წარმოქმნამ, რაც თავისთავად მუშაკისაგან სპეციალურ ცოდნას ითხოვს, შეცვალა საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებული შრომის ფორმები. შრომა ძირითადად ინტენსიური ინტელექტუალიზაციის კომპონენტებს დაემყარა. ახლა წარმოების წინაშე წამოიჭრა ისეთი ამოცანები, რომელთა გადაწყვეტა შეუძლებელია, თუ ადამიანმა ინფორმაცია არ მიიღო და არ გადაამუშავა, თუ გათვალისწინებული არ არის ადამიანისა და ტექნიკის ინფორმაციული ურთიერთზემოქმედება.

მეცნიერულ ლიტერატურაში ცნობილია ასეთი მაგალითი: მსხვილ ცენტრებში ავტოტრანსპორტის მძღოლი წამში ფეხით მოსიარულეთა და ტრანსპორტის მოძრაობის არანაკლებ 10 ურთიერთმოქმედების მონაწილეა, გარემოს შეათვალიერებს ორჯერ, იღებს სამამდე გადაწყვეტილებას. შემდეგ ყოველ წუთში აკეთებს 30-დან 129-მდე პროფესიულ მოძრაობას, ყოველ ორ წუთში უშვებს შეცდომას, კერძოდ, საგზაო ვითარებაზე ყველაზე ოპტიმალური სახით არ რეაგირებს და ყოველ 2 საათში ვარდება კრიზისულ სიტუაციაში, რაც დაკავშირებულია ავარიის რისკთან. სპეციალისტების აზრით, ეს გამოწვეულია მძღოლის მაღალი ფსიქოემოციური დაძაბულობით, რაც ცვლის ორგანიზმის ზოგიერთი სისტემის ნორმალური ფუნქციობის მიმდინარეობას.

თანამედროვე ადამიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის სწრაფი ტემპი, პირველ ყოვლისა, უდიდეს გავლენას ახდენს ტვინის ფუნქციაზე. ადამიანის ტვინი დღეს ინფორმაციას იღებს, ამუშავებს და იხსომებს ისეთი ინტენსიურობით, როგორიც კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის არც ერთ ეტაპს არ ახსოვს. ამასთან, ყველაფერი ეს მოხდა ისტორიულად მეტად მოკლე დროის განმავლობაში, ადამიანის ორგანიზმის ყოველგვარი მომზადების გარეშე.

ოფიციალური წყაროებიდან ცნობილია, რომ მთელი რიგი დაავადებები (როგორც ნერვული, ისე სხვა ფუნქციური სისტემებისა) დაკავშირებულია სწორედ ცხოვრების ახალ პირობებთან, გარემო-ვითარებასთან.

და აი, ლაბორატორიის ხელმძღვანელისა და მისი თანამშრომლების წინაშე დადგა დიდი თეორიულ-პრაქტიკული მნიშვნელობის ამოცანა: შეესწავლათ უმაღლესი ნერვული ფუნქციები ინფორმაციის მოზღვავებისა და დროის დეფიციტის პირობებში.

ამ ამოცანის გადაჭრის თეორიული კონცეფცია ითვალისწინებს ცდების საშუალებით ცხოველის ჩაყენებას ისეთ პირობებში, რომლებიც პათოგენურია ადამიანისათვის. ეს არის სამი ფაქტორის არაოპტიმალური ანუ არახელსაყრელი შეუღლება; ასეთი ფაქტორებია: მოზღვავებული ინფორმაციის დამუშავების აუცილებლობა, დროის უკმარისობა (რაც გამოყოფილია ამ ინფორმაციის დასამუშავებლად) და მაღალი მოტივაცია (ადამიანზე გადატანით ეს ნიშნავს მაღალ პასუხისმგებლობას დაკისრებული საქმისათვის, სურვილს მაქსიმალურად და საუკეთესოდ დაამუშაოს ინფორმაცია დროის დეფიციტის პირობებში).

ასე ხდება ცხოველი იძულებული „იმუშაოს“ მეცნიერულ ლაბორატორიაში ადამიანის სასარგებლოდ. ხანმოკლე მეხსიერების ობიექტური შესწავლა მიმდინარეობს სხვადასხვა მეთოდითა და მოდიფიკაციით. ლაბორატორიაში გამოიყენეს სწორედ ის მეთოდი, რომელიც ივანე ბერიტაშვილს ეკუთვნის. იგი ასეთი სახით წარმოგვიდგება: თავდაპირველად ძაღლს გამოუმუშავებენ პირობით რეფლექს—რომელიმე ბგერითი გამღიზიანებლის ხმაზე მიირბინოს საკვებურთან, სადაც ხორცის ნაჭერი ეძლევა.

ასეთი ქცევის გამომუშავების შემდეგ იწყება მოკლევადიანი მეხსიერების შესწავლა. ცხოველს შეუშვებენ გალიაში და ჩაკეტავენ კარს, შემდეგ ჩართავენ პირობით სიგნალს, მაგალითად, ზარს, რომელიც ჩვეულებრივ რამდენიმე წამის განმავლობაში წკრიალებს, დააცლიან ცოტა ხანს (წუთებს) და მხოლოდ ამის შემდეგ გააღებენ კარს. თუ ცხოველს არ დაავიწყდა, რისთვის იყო მიცემული ეს სიგნალი, მიირბენს საკვებურთან და მიიღებს ხორცის ნაჭერს. რამდენადაც ცხოველს წინასწარ აქვს გამომუშავებული პირობითი რეფლექსი — მიირბინოს რამდენიმე საკვებურთან სხვადასხვა ბგერითი გამღიზიანებლის ხმაზე, მან უნდა დაიხსომოს, რომელ საკვებურთან უნდა მივიდეს საკვების მისაღებად. თუ შეცდომა დაუშვა ან გალიიდან არ გამოვიდა, ხორცს ვერ მიიღებს. ჩვეულებრივად პირობითი გამღიზიანებლის მოქმედების შემდეგ გალიიდან გამოშვების ვადის გახანგრძლივება იწყება მცირე ინტერვალებით და იზრდება იქამდე, ვიდრე ცხოველი სიგნალის მნიშვნელობას დაივიწყებს.

ლაბორატორიის გამოკვლევებით დადგენილია ის ზღვარი, სადამდეც ძაღლები ინარჩუნებენ მოკლე მეხსიერების კვალს, როგორც ორი, ისე სამი ბგერითი სიგნალის გამოყენების დროს. ყოველი სიგნალი დაკავშირებულია კონკრეტულ საკვებურთან და ძაღლმაც უნდა მიირბინოს სწორედ იქ, რომელიც სიგნალს შეესაბამება. ცხოველები კარგად ართმევდნენ თავს ამ ამოცანას, ვიდრე ცალკეული სიგნალი მნიშვნელოვანი ინტერვალით გადაიცემოდა, მაგრამ, როცა ეს ინტერვალი შემცირდა, ცხოველებს უკვე ნევროზი უვითარდებოდათ.

ასეთია ლაბორატორიის ერთ-ერთი ძირითადი ექსპერიმენტი.

ასე ხელოვნურად გამოწვეული პათოლოგია, მეცნიერული თვალსაზრისით, ფრიად მნიშვნელოვანია. ჯერ ერთი, შესაძლებელი ხდება გაირკვეს ამ პათოლოგიის გამომწვევი ფაქტორები და, მეორეც, ამის შესაბამისად შემუშავდება ის პირობები, რომლებიც არ მიგვიყვანს პათოლოგიამდე.

ცხოველებზე ჩატარებული ექსპერიმენტები ფასდაუდებელია თუნდაც იმიტომ, რომ საშუალება გვეძლევა შევისწავლოთ თავის ტვინის ქერქის და ქერქქვეშა სტრუქტურების როლი ასეთი პათოლოგიური ქცევის დროს, ამასთან გამოვცადოთ ფარმაკოლოგიური ნივთიერებები და დავნერგოთ ისინი პრაქტიკაში.

— ჩვენი ცდების საფუძველზე ლაბორატორიაში წარმოიშვა კონცეფცია ინფორმაციული პათოლოგიის შესახებ, — ამბობს მიხეილ ხანანაშვილი, — ეს კონცეფცია ეხება ზემოთ ნათქვამი სამი ფაქტორის გავლენას ადამიანზე. თუმცა ეს ფაქტორების მცირე ნაწილია, რადგან, გარდა ამისა, დიდ როლს ასრულებს გენეტიკური ფაქტორებიც, ინდივიდუალური გამოცდილება, გადატანილი ავადმყოფობა და ასე შემდეგ. მაშასადამე, არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს მხოლოდ ეს სამი ფაქტორი იყოს პათოგენური. თუ ჩვენ მიერ შემოთავაზებულ სამ ფაქტორს მნიშვნელობა აქვს ყველა ორგანიზმისათვის, მაშინ მეორე ჯგუფის ფაქტორებს ზეგავლენის მოხდენა შეუძლია მხოლოდ ცალკეულ ინდივიდუუმზე (ესე იგი, რას წარმოადგენს ესა თუ ის ინდივიდუუმი გენეტიკური თვალსაზრისით, თავისი გამოცდილებით და სხვ.). მეორე კონცეფცია, რომელსაც ახლა ვავითარებთ, მზარდი ინფორმაციისადმი ინდივიდუალური მდგრადობის საკითხია. ყოველ ადამიანს, ყოველ ცხოველს აქვს ინფორმაციული გადატვირთვისადმი ინდივიდუალური მდგრადობა. შევისწავლით რა მის მექანიზმებსა და გამოვლინებებს, ვცდილობთ ავამაღლოთ მისი სიცოცხლისუნარიანობა. მდგრადობის გაზრდა კი გვსურს როგორც ფარმაკოლოგიური, ისე არაფარმაკოლოგიური საშუალებებით.

სწორედ არაფარმაკოლოგიური საშუალებების ძიება კი ლაბორატორიის ერთ-ერთი პირველი რიგის ამოცანაა.

✦ ✦

სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის სისტემა ისე არის მოწყობილი, რომ აქ თითქმის ყველა საკითხი სხვა (ასევე ამ საკითხით დაინტერესებულ) ლაბორატორიებთან და ინსტიტუტებთან თანამშრომლობით მუშავდება. კომპლექსური მუშაობა წარმოებს როგორც რესპუბლიკურ, ისე საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან.

მჭიდრო კონტაქტი აქვს ლაბორატორიას საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან. სულ მოკლე დროის თანამშრომლობამ ინფორმაციული პათოლოგიის მკურნალობისა და მდგრადობის ამაღლების საკითხის შესწავლისას ორივე მხარეს მეტად საინტერესო შედეგები მისცა. და აი, როგორი: დადგენილია, რომ ინფორმაციული პათოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე მკვეთრად გამოხატული ნიშანია მეხსიერების დარღვევა. შეიძლება თუ არა ფარმაკოლოგიური ჩარევის გარეშე, მხოლოდ კლიმატური მკურნალობით ამ დარღვევის აღდგენა?

ცდები სოხუმში მიმდინარეობდა. აქ ცხოველებს ინფორმაციული ნევროზი გამოუმუშავეს და შემდეგ ავადხარაში აიყვანეს ორი თვით. ეს ორი თვე საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ პათოლოგიის სიმპტომები მოხსნილიყო. ასეთივე შედეგი მოჰყვა ნევროზით დაავადებული ცხოველების წყალტუბოს კარსტულ მღვიმეში კლიმატურ მკურნალობას.

ახლახან ლაბორატორიამ ხელშეკრულება დადო საკავშირო სამედიცინო-ბიოლოგიური პრობლემების ინსტიტუტთან. ეს ინსტიტუტი ლაბორატორიას ახალ ფარმაკოლოგიურ საშუალებებს აწვდის და მეცნიერები შეისწავლიან იმათ გავლენას ცხოველებზე. „ჯერჯერობით ცხოველებზე, — გვითხრეს ლაბორატორიაში, — მაგრამ ყოველ ღონეს ვხმარობთ იმისათვის, რომ ეს შესწავლა ადამიანებზე გაგრძელდეს“.

ლაბორატორიას ხელშეკრულებები აქვს დადებული საზღვარგარეთის სამეცნიერო დაწესებულებებთან, მაგალითად, ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტთან. ამ უნივერსიტეტის ფიზიოლოგები იკვლევენ, თუ რა ცვლილებებს განიცდის კუჭ-ნაწლავის სისტემა ინფორმაციული გადატვირთვისას. ბერლინიდან ქცევის ფიზიოლოგიის ლაბორატორიას სპეციალისტთა ჯგუფი ეწვია აქაური კვლევის მეთოდების გასაცნობად, შემდეგ პროფესორი მ. ხანანაშვილი მიიწვიეს გერმანიაში საკონსულტაციოდ. ახლა აქ ნახევარი წლის ვადით იმყოფება დოცენტი ჰიუნტერ რეიბერგი, რომელიც ლაბორატორიის პრობლემატიკას ეცნობა და სამშობლოში დაბრუნებული მუშაობას განავითარებს საკუთარი ამოცანების შესაბამისად.

ამას წინათ მიხეილ ხანანაშვილი კუბაში მიიწვიეს ინფორმაციული ნევროზის შესახებ ლექციების წასაკითხად. ლექციებმა ცხოველი ინტერესი გამოიწვია და დაიდო შეთანხმება, რომ ლაბორატორიის დახმარებით კუბელებიც ჩაებმებიან ამ თემის კომპლექსურ დამუშავებაში.

✦ ✦

ყოველი თეორიული აღმოჩენის საბოლოო მიზანი მისი პრაქტიკაში დანერგვაა. ეს აქსიომაა.

მეცნიერთა ჯგუფი თეორიულ კვლევას ეწევა. როდის დაინერგება ამ გამოკვლევის შედეგები პრაქტიკაში? შეიძლება — დღეს, შეიძლება — ასი წლის შემდეგ. სწორედ ეს გახლავთ თეორიული კვლევის სპეციფიკა და მხოლოდ პრაქტიკული თვალსაზრისით ამ საკითხისადმი მიდგომა უეჭველად ცალმხრივობა იქნებოდა, მით უმეტეს, როცა საქმე ისეთ ფუნდამენტურ მეცნიერებას შეეხება, როგორიც ფიზიოლოგიაა.

მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მოდის დრო, როცა ამა თუ იმ პრობლემის ფუნდამენტური კვლევა ისეთ დონეს აღწევს, რომ თავისთავად დგება საკითხი მისი ცხოვრებაში დანერგვისა.

მიხეილ ხანანაშვილსა და მის თანამშრომლებს მიაჩნიათ, რომ უკვე დადგა დრო ლაბორატორიაში მოპოვებული მთელი რიგი აღმოჩენების პრაქტიკული ხორცშესხმისათვის. რა გზით უნდა მიაღწიოს ამ აღმოჩენებმა პრაქტიკოს ექიმამდე და, ამრიგად, ავადმყოფამდე?

ჰოდა, აი აქ დგება „პრობლემათა პრობლემა“, როგორც ამას პროფესორი ხანანაშვილი უწოდებს — პრობლემა პრაქტიკაში მეცნიერული მიღწევის დანერგვისა.

პირდაპირ უნდა ითქვას: ეს გზა არ არის ვარდყვავილებით მოფენილი. თავისი აღმოჩენების ცხოვრებაში დასანერგად ავტორს დასჭირდება უტეხი ნებისყოფა, შეუპოვრობა და დრო, დრო, რომელიც არასოდეს არ ჰყოფნის მეცნიერ-თეორეტიკოსს და კიდეც რომ ჰყოფნიდეს, განა მიზანშეწონილია გამოჩენილი მეცნიერის კვლევა-ძიებისათვის განკუთვნილი ძვირფასი დრო იმ საქმეზე დახარჯოს, რომელსაც მასზე არანაკლებ — და იქნებ უკეთესადაც — სხვაც გაართმევდა თავს?

ცოტანი როდი არიან მკვლევარები, რომელთაც არაერთი საავტორო უფლება დაუკარგავთ, რადგან ამ უფლების მოპოვებას ძალიან ბევრი დრო მიაქვს, მეცნიერს კი ურჩევნია, ეს დრო ისევ კვლევას მოახმაროს.

— ახლა, როცა ჩვენს რესპუბლიკაში მეცნიერული კვლევისა და მისი შედეგების ცხოვრებაში დანერგვის საკითხს ესოდენ დიდი ყურადღება ეთმობა, ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად ამ დანერგვის ოპტიმალური გზების ძიება მესახება, — გვითხრა პროფესორმა ხანანაშვილმა, — ეს საკითხი მარტო მე არ მაღელვებს. იგი გლობალურად უნდა გადაწყდეს. საჭიროა შემუშავდეს გარკვეული სისტემა, შეიქმნას რაღაც რგოლი, რომელიც ხიდს გადებდა სამეცნიერო და პრაქტიკული პროფილის მქონე დაწესებულებებს შორის.

მე, მაგალითად, ეს ასე მესახება: სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში შეიქმნას ჯგუფი, რომელსაც დაევალებოდა ამ ინსტიტუტის თეორიული აღმოჩენების პრაქტიკული ხორცშესხმა. ამ რგოლის სახით მეცნიერებს ხელთ ექნებოდათ ის ბერკეტი, რომლითაც თავისი ნაშრომის უკუგებას მიიღებდნენ. ეს არ არის ტექნიკური სამუშაო. იმ რგოლში მომუშავე კაცი თავისი გამოცდილებითა და ცოდნით იმათ არ უნდა ჩამოუვარდებოდეს, ვინც ამ საკითხებს მეცნიერულად ამუშავებს, ხელმოცარული მეცნიერისათვის იქ ადგილი არ უნდა იყოს...

ახლა კი ლაბორატორიის თანამშრომლები თვითონ ეძებენ და ამყარებენ კონტაქტებს...

სად ისურვებდნენ უპირველეს ყოვლისა ლაბორატორიაში მოპოვებული აღმოჩენების დანერგვას? — დავინტერესდით.

— კლიმატურ თერაპიაში, — გვიპასუხეს. — ჩვენს რესპუბლიკას უმდიდრესი ბუნებრივი რესურსები აქვს, რომელთა მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილს ვიყენებთ. დღეს კი ფარმაკოლოგიური საშუალებები ისე მოზღვავდა, ადამიანები ისე გაიტაცა ახალ-ახალმა პრეპარატებმა, და მათ ისეთი დიდი რაოდენობით ღებულობენ, რომ ამ წამლებით მკურნალობამ ზოგ შემთხვევაში თავდაპირველი ეფექტი დაკარგა. გარდა ამისა, უკვე მასობრივი ხასიათი მიიღო სამკურნალწამლო დაავადებამ.

აღმოჩნდა, რომ კვლევის შედეგების წარმატებით გამოყენება შეიძლება აგრეთვე ისეთ მნიშვნელოვან სფეროში, როგორიც პროფესიული ორიენტაცია გახლავთ, და აი, რა თვალსაზრისით: ხშირად ადამიანი ისეთ სამუშაოზე იგზავნება, რომ ზემოაღნიშნული ტრიადა მისთვის, მისი ნერვული სისტემისათვის არ არის ადეკვატური, შესაფერისი. სულ მცირე დროის განმავლობაში უზარმაზარი ინფორმაციის დამუშავება უხდება, მაგალითად, პულტთან მომუშავე ოპერატორს. თუ ამ ადამიანს ინდივიდუალური მდგრადობა დაბალი აქვს, ამ სამუშაოზე მისი გამოყენება არ შეიძლება — მალე გადაიღლება და წყობიდან გამოვა.

ეს რომ არ მოხდეს, ადამიანის ჯანმრთელობა რომ დაიზოგოს და სახალხო მეურნეობაც ამ მხრივ აღარ დაზარალდეს, მუშაკის სამსახურში მიღების წინ უნდა შეისწავლონ მისი მდგრადობა ინფორმაციული ზედმეტი დატვირთვის მიმართ.

განა საკითხავია, რა აქტუალურია ეს პრობლემა ჩვენთვის, ტექნიკური პროგრესის საუკუნის შვილთათვის? განა ამ სფეროში ყოველი აღმოჩენის ცხოვრებაში გადმოტანას „მწვანე გზა“ არ უნდა მიეცეს?

ლაბორატორიამ უკვე დაიწყო მუშაობა ამ მიმართებითაც: დადო ხელშეკრულება რამდენიმე საწარმოსთან. მაგრამ ტემპი, დანერგვის ტემპი, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ძალზე ნელი და არადამაკმაყოფილებელია.

მეტი ყურადღება უნდა მიექცეს რესპუბლიკის მასშტაბით კომპლექსური პროგრამების შექმნას. ეს ხელს შეუწყობს არა მარტო თვით მეცნიერების განვითარებას, არამედ კვლევის შედეგების პრაქტიკაში დანერგვის ოპერატიულ გადაწყვეტასაც.

მაგალითად, ლაბორატორია მეტად დაინტერესებულია ექსპერიმენტული და კლინიკური ნევროზების კვლევის რესპუბლიკური პროგრამის შექმნით.

მედიცინის მეცნიერებათა აკადემიამ პროფესორ მიხეილ ხანანაშვილს მიანდო საკავშირო მასშტაბით გამოკვლევების ხელმძღვანელობა უმაღლესი ნერვული მოქმედების ექსპერიმენტული პათოლოგიის დარგში. პროფესორის აზრით, ეს მნიშვნელოვნად გააადვილებს რესპუბლიკის ფარგლებში მუშაობის კოორდინაციას საკავშირო პროგრამებთან. თავიდან იქნება აცილებული მეცნიერების განვითარების ამჟამინდელ ეტაპზე გახშირებული არასასურველი მოვლენა — თემატიკის დუბლირება.

✦ კვლევის სათავეებთან ✦ ინფორმაციის ზვირთებს იერიში მიაქვთ ტვინზე ✦ სხვებთან ერთად, ერთმანეთის ხელშეწყობით ✦ პრობლემათა პრობლემა ✦ ტრადიცია გრძელდება

✦ ✦

ქცევის ფიზიოლოგიის ლაბორატორიის თანამშრომლები სამ ჯგუფად არიან დაყოფილი. ერთ-ერთ მათგანს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ციალა ორჯონიკიძე ხელმძღვანელობს. ჯგუფი შეისწავლის მეხსიერების ოპტიმიზაციის საკითხებს ტვინის თვითგაღიზიანების მეთოდის გამოყენებით.

მეხსიერების ოპტიმიზაციის საკითხზე მუშაობს მეორე ჯგუფიც, რომელსაც ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ილია აივაზაშვილი ხელმძღვანელობს, ოღონდ ეს ჯგუფი ამ საკითხს ონტოგენეზში, ესე იგი ახალშობილ ცხოველებში შეისწავლის.

მესამე ჯგუფი მედიცინის მეცნიერებათა საკავშირო აკადემიამ სპეციალურად მიხეილ ხანანაშვილისათვის გახსნა. იგი უმაღლესი ნერვული მოქმედების პათოლოგიის მკურნალობისა და პროფილაქტიკის საკითხებს ამუშავებს. აქ მუშავდება ინფორმაციულ ნევროზთან დაკავშირებული ყველა საკითხი. ჯგუფს ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ლილი ჩხუბიანიშვილი ხელმძღვანელობს.

ლაბორატორიაში სხვა პატარა ჯგუფებიც არსებობს. მათ ძიებითი ხასიათის სამუშაო აქვთ — მეცნიერთა ყურადღება უნდა მიაპყრონ აქტუალურ საკითხებს. და ეს საშუალებას იძლევა მომავალი დაგეგმარების დროს გათვალისწინებულ იქნეს, რამდენად მიზანშეწონილია სამუშაო პროგრამაში ამა თუ იმ საკითხის შეტანა.

ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა ციცინო სუქნიძემ, რომელიც გამოკვლევებს ატარებს ინფორმაციული პათოლოგიის სფეროში, ამ ცოტა ხნის წინათ ამ პათოლოგიის ახალი მოდელი მიიღო. ახლა მის ირგვლივ ახალი — მეოთხე ჯგუფი ყალიბდება (მესამე ერთი წელია, რაც არსებობს). ჯერჯერობით მისი საქმიანობა მესამე ჯგუფთან არის დაკავშირებული. მაგრამ იქმნება ახალი ჯგუფი და — იწყება მისი განცალკევებაც.

ლაბორატორიაში სამი უფროსი და ოთხი უმცროსი მეცნიერი თანამშრომელია, ათი — ლაბორანტი. სულ ჩვიდმეტი კაცი. მაგრამ ჩვიდმეტი გატაცებით მოსაქმე ადამიანი პატარა ძალა არ არის და ეს ეტყობა კიდეც ლაბორატორიის მუშაობის შედეგებს.

როგორც ჯგუფის ხელმძღვანელები, ისე დარეჯან ცინცაძე და ლალი ფხაკაძე ივანე ბერიტაშვილთან აღიზარდნენ. კვლევის კარგ უნარს ამჟღავნებენ მანანა ბლიაძე, ნანა აბაშიძე, ტარიელ ლოლობერიძე, ეთერ ქარელი, გია კვერნაძე, კოტე წერეთელი, რუსუდან ქართველიშვილი და სხვები.

როგორ გრძნობ თავს, ადამიანო, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საუკუნეში?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამათ კვალში სტუდენტებიც დგანან...

ტრადიცია გრძელდება.

და ამ ტრადიციას ისევ და ისევ ივანე ბერიტაშვილმა ჩაუყარა საფუძველი. მისი ერთ-ერთი პირველი საზრუნავი იყო ლაბორატორიაში (და ინსტიტუტშიც) მოხვედრილიყო მხოლოდ ღირსეული, ჭეშმარიტად მეცნიერების ტრფიალი ადამიანი.

დიდი მეცნიერის დანერგილი ეს წესი განუხრელად სრულდება.

ვისაც უნდა ლაბორატორიის თანამშრომლის საპატიო სახელი ჰქონდეს, ერთი წელი საზოგადოებრივ საწყისებზე უნდა იმუშაოს. ეს, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ლაბორატორიამ კარგად გაიცნოს ახალი მუშაკი, მეორეც — ამ მუშაკმა კარგად შეისწავლოს ლაბორატორიის პრობლემებიც. ისე კი, ორივე მხარე რწმუნდება, რომ არჩევანი არ არის შემთხვევითი.

ლაბორატორიაში ყოველწლიურად ათი-თხუთმეტი სტუდენტი მოდის სამუშაოდ (ზოგი თემას ამუშავებს, ზოგი სადიპლომოს იცავს, ზოგსაც სტაბილური კავშირი აქვს ლაბორატორიასთან).

სტუდენტი ლაბორატორიის საიმედო რეზერვია. ჩვეულებრივ, აქ მოსული ახალგაზრდა გატაცებულია სამუშაოთი და უმაღლესის დამთავრებამდე ასწრებს კიდეც მეცნიერული შრომის გამოქვეყნებას.

სტუდენტებთან ასეთი კავშირიც ორმხრივ სასარგებლოა, ლაბორატორია საჭიროებს სწორედ მათ ენთუზიაზმს და საქმის ცხოველ სიყვარულს. თავის მხრივ ბეჯითი და ნიჭიერი კაცი აქ ბევრ რაიმეს შეიძენს, და სრული გარანტიაა იმისა, რომ ეზიაროს მეცნიერების ჭეშმარიტ საფუძვლებს, გახდეს ნამდვილი შემოქმედი.

თვით ამ ლობორატორიის გამგის — პროფესორ მ. ხანანაშვილის ცხოვრების ერთი ფურცელიც ამ ტრადიციის ცხოველმყოფლობის ნათელი მაგალითია. თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტი პროფესორმა ალექსანდრე ბაკურაძემ წარუდგინა ივანე ბერიტაშვილს, როგორც ნეიროფიზიოლოგიის შესწავლით დაინტერესებული ახალგაზრდა. დიდმა მეცნიერმა მხოლოდ საგანგებო დავალებების შესრულების შემდეგ მისცა მას შესაძლებლობა გასცნობოდა მუშაობის ძირითად მიმართულებებს და ჩააბა ერთ-ერთ ჯგუფში. მეხუთე კურსის სტუდენტი იყო მ. ხანანაშვილი, როცა ი. ბერიტაშვილის ხელმძღვანელობით გამოაქვეყნა პირველი შრომა. შრომის ასე ცოტა დაგვიანებით გამოქვეყნება იმით იყო განსაზღვრული, რომ ბერიტაშვილმა არ უღალატა დამწყებ მეცნიერთან მუშაობის თავის მეთოდს — ყველა ახალბედას უნდა გაევლო სპეციალობის, ესე იგი ფიზიოლოგიის საფუძვლიანი შესწავლის მრავალწლიანი კურსი, მხოლოდ ამის შემდეგ ჩათვალა იგი „მომზადებულად“ სამეცნიერო თემაზე მუშაობისათვის.

რა თქმა უნდა, ეს ნდობაც იყო და ზრუნვაც ახალგაზრდა მეცნიერის მომზადებისათვის.

ამ ბერიტაშვილისეულ ნდობას და ზრუნვას დღესაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ლაბორატორიის საქმიანობაში.

— ჩვენს ლაბორატორიას მუდამ ბედი წყალობდა, — ამბობს მიხეილ ხანანაშვილი, — აქ მუდამ მეცნიერების ტრფიალი ადამიანები მოდიან ხოლმე. ავიღოთ თუნდაც უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები ალექსანდრე ჰიქაძე და ეთერ მოხევიშვილი. მე მომწონს მათი სერიოზული დამოკიდებულება საქმისადმი. ჩვენ ისინი უკვე კოლექტივის სრულუფლებიან წევრებად მიგვაჩნია.

თითქოს თავისი ნათქვამის დადასტურება უნდაო, პროფესორი ფრთხილად აღებს ერთ-ერთი კაბინეტის კარს, რომელზეც წითლად განათებული წარწერაა: „ტარდება ცდა“.

ამ პატარა საოპერაციო ოთახში ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი დარეჯან ცინცაძე და სტუდენტი ალექსანდრე ჰიქაძე კატას უნერგავენ ელექტროდებს თავის ტვინის სხვადასხვა უბანში იმისათვის, რომ ცხოველს შესაძლებლობა ჰქონდეს თვით გაიღიზიანოს ტვინის ესა თუ ის უბანი ლოკომოტორი თვითგაღიზიანების მეთოდით. ეს კი საშუალებას იძლევა შევისწავლოთ პათოლოგიის დროს ემოციოგენური სტრუქტურების მნიშვნელობა ქცევის ფორმირებაში. ასეთი ცხოველის ტვინის ბიოქიმიური გამოკვლევა კი შესაძლებლობას მოგვცემს დავადგინოთ, თუ რა ფარმაკოლოგიური ნივთიერებები უნდა გამოვიყენოთ პათოლოგიისადმი მდგრადობის ასამაღლებლად.

ეს ექსპერიმენტიც ხომ იმ დიდი პრობლემის ნაწილია, რომელზეც ასე ბეჯითად და გულისყურით მუშაობენ დღეს ლაბორატორიის თანამშრომლები და ამ საქმეში თავიანთი მოკრძალებული, მაგრამ თვალსაჩინო წვლილი შეაქვთ იმ ახალგაზრდებსაც, რომლებიც ეს-ეს არის პირველ ნაბიჯებს დგამენ მეცნიერების ძნელად სავალ გზაზე.

ლაბორატორიის კარიც მუდამ ღიაა ღირსეულთათვის, ცოდნის ამ ბუნებრივ ნაკრძალში მხოლოდ მეცნიერული ნიჭით მომადლებულთ თუ ეძლევათ სწავლისა და ძიების უფლება.

● ●

მეოცე საუკუნემ, მეცნიერებისა და ტექნიკის მძლავრი განვითარების საუკუნემ, თავისი ინტენსიური ურბანიზაციით, ცხოვრების ტემპის არნახული ზრდით ძირფესვიანად შეცვალა ადამიანის შრომისა და, საერთოდ, მთელი ცხოვრების ხასიათი.

ამიტომ იქცა დღევანდელი ფიზიოლოგიის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად ადამიანის შეგუება ახალი გარემო პირობებისადმი. ამ პრობლემის წარმატებით გადაწყვეტას უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს კაცობრიობისათვის.

სწორედ ამ მიზანს ემსახურება ქცევის ფიზიოლოგიის შემსწავლელი ლაბორატორიის მეცნიერთა ძიება, ძიება დროის კარნახით.

ნ. ბარათაშვილი,
ნ. ჯაველიძე.

ჩვენს სამეცნიერო ლაბორატორიებში

ავტომატი გვისმენს და გვცნობს

✦ „კუ“ წარსულს ჩაბარდა ✦ მანქანა სიტყვებს სწავლობს ✦ „ნაცნობი დიქტორი“ ✦ მას ვერ შეაცდენთ ✦ წამის მეათედში.

გრძელ მაგიდაზე სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობის ელექტრონული ხელსაწყოები აწყვია, კედლებზე უცხო თვალისათვის გაურკვეველი ფორმის სქემებია გაკრული.

მიკროფონში დიქტორი ციფრს ან სიტყვას წარმოთქვამს და შესაბამისად ოსცილოგრაფის ეკრანზე მოციმციმე მრუდი აკიაფდება. იგი სახეს ბგერის ხასიათისდა მიხედვით იცვლის.

მიმდინარეობს ბგერითი სიგნალის ავტომატური ანალიზი და გამოცნობა. მანქანა განსაზღვრავს, რომელი პიროვნება ესაუბრება მას.

— მაგრამ სანამ მანქანა პიროვნების ვინაობას გამოიცნობდეს, ჯერ მისი ხმა უნდა შეისწავლოს— გვიხსნის ინფორმაციის გარდაქმნის განყოფილების გამგე ალექსანდრე კაკაურიძე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მართვის სისტემების ინსტიტუტში უკვე კარგა ხანია შექმნეს ავტომატური ხელსაწყო, რომელსაც უნარი შესწევს გაიგოს ადამიანის სიტყვა და დაემორჩილოს მის ბრძანებას.

ბგერისა და ხმის ანალიზის ლაბორატორიაში სათუთად ინახავენ ამ პატარა, მომწვანო ფერის ხელსაწყოს, რომელსაც მისმა ავტორმა ალ. კაკაურიძემ „კუ“ შეარქვა. იგი ადამიანის მიერ წარმოთქმულ ოცამდე ბრძანებას ემორჩილება. აქვე დგას „კუს“ ელექტრონული „მეხსიერება“ და საბეჭდი მოწყობილობა.

სურათზე: (მარცხნიდან) ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი გ. რამიშვილი და ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი ა. კაკაურიძე გამომთვლელ მანქანაზე აწარმოებენ ექსპერიმენტს.
ა. ჩერნენკოს ფოტო.

შემდგომ ეტაპზე მკვლევარებმა ბგერითი სიგნალების ციფრობრივად გარდაქმნის ავტომატური პროცესი ელექტრონულ გამომთვლელ მანქანაში შეიტანეს. ავტომატურმა ხელსაწყომ უფრო მეტი სიტყვა შეისწავლა, რადგან გამომთვლელ მანქანას „გააზრების“ მეტი საშუალება, „მეხსიერების“ უფრო დიდი წყარო აქვს.

ლაბორატორიაში მრავალი ელექტრონული მოწყობილობაა. ისინი გვიჩვენებენ ბგერითი სიგნალების ციფრობრივად გარდაქმნის მეთოდის გაუმჯობესება-განვითარებას და მის ისტორიას. აი, მაგალითად, ეს ორი მცირე ზომის ხელსაწყო. ერთი მათგანი სიტყვის თქმისას გამოყოფს მაღალ და დაბალ ტონს, მეორე — გამოიცნობს ხმოვან და ყრუ ბგერებს.

ხმოვანი და ყრუ ბგერების გამოცნობის ამ მეთოდზე ა. კაკაურიძემ მ. თუშიშვილთან ერთად საავტორო მოწმობა მიიღო.

შემდგომი კვლევის საფუძველზე ორივე ხელსაწყო გააერთიანეს. მას დაუმატეს ბგერითი სპექტრის ანალიზის მოწყობილობა და შექმნეს უფრო რთული ხელსაწყო, რომელსაც ბგერითი სიგნალების პირველად გარდაქმნის კომპლექსური ანალიზის ხელსაწყო ეწოდა.

როგორ სწავლობს მანქანა სიტყვებს?

ლაბორატორიის თანამშრომელი ბგერითი სიგნალების პირველადი გარდაქმნის კომპლექსური ანალიზის ხელსაწყოსთან მიკროფონში წარმოთქვამს ნებისმიერ სიტყვებს და ხელსაწყო ამ სიტყვებს მყისვე გარდაქმნის მანქანისათვის გასაგებ ციფრობრივ ენაზე, რომელიც სპეციალური სადენების საშუალებით მართვის ცენტრში გადადის, აქ დგას ელექტრონული გამომთვლელი მანქანა. იგი ამ სიტყვების დახსომებისა და გამოცნობის პროცესს წამის მეათედებში ასრულებს.

ლაბორატორიაში გვიჩვენეს ალბომი, სადაც გამომთვლელ მანქანაში შესასვლელი თითოეული სიტყვის მათემატიკური ვარიანტი (ე. წ. კოდი) იყო პერფოფურცელზე დაბეჭდილი. დღესდღეობით გამომთვლელ მანქანას თავის მეხსიერებაში ასზე მეტი სიტყვის კოდი აქვს. ეს არის როგორც ციფრები, ისე სიტყვები.

მეორე ალბომში, პერფოფურცელზე უკვე გამომთვლელი მანქანის მიერ გამოცნობილი სიტყვებია დაბეჭდილი. ზოგი უშეცდომოა, ზოგი — არა. რა ვუყოთ, ეს ხომ ჩვენც გვემართება ხოლმე.

მანქანის სწორი მუშაობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ მიკროფონში არ შედიოდეს გარეშე ხმაური. ამ მიზნით განყოფილების თანამშრომელმა იური ზანჩენკომ შექმნა პატარა ხელსაწყო, რომელსაც სათვალესავით თავზე იმაგრებენ. იგი მხოლოდ და მხოლოდ ბაგეების მოძრაობაზე რეაგირებს.

მეტყველების ავტომატური გამოცნობის სისტემაზე მუშაობამ მეცნიერები გაუთვალისწინებელი მოვლენის წინაშე დააყენა. აღმოჩნდა, რომ ავტომატური სისტემა ნორმალურად მუშაობდა მაშინ, როდესაც მას სისტემატურად ერთი ან რამდენიმე პიროვნება, ე. ი. მისთვის „ნაცნობი“ დიქტორი უკარნახებდა, მაგრამ, როგორც კი სხვა ადამიანი იწყებდა ლაპარაკს, მანქანას უჭირდა სიტყვების ამოცნობა.

გამოკვლევებმა ცხადყო, თურმე შეიძლება ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც განასხვავებს თითოეული ადამიანის მეტყველებისათვის დამახასიათებელ ინდივიდუალურ თვისებებს. როგორც ჩვენ გამოვიცნობთ ხოლმე ნაცნობი ადამიანის ხმას, ისე მანქანასაც შეუძლია თავის მეხსიერებაში „მოძებნოს“ მისთვის „ნაცნობი“ კოდი და ამოიცნოს პიროვნება.

ასე რომ, უკვე 1962 წლიდან მეცნიერებმა დაიწყეს ამ პრობლემაზე მუშაობა და ინსტიტუტში ჩამოყალიბდა მეორე — სახეთა გამოცნობის განყოფილება, რომელსაც ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი გურამ რამიშვილი ხელმძღვანელობს.

ამ განყოფილების ხელსაწყოებიც ბგერისა და ხმის ანალიზის ლაბორატორიაში დგას. სპექტრალური დისკრიმინატორის მიკროფონში რაიმე სიტყვის წარმოთქმისას დისკრიმინატორის ეკრანზე ამ სიტყვის სპექტრული სურათი აღიბეჭდება. იცვლება დიქტორი და შესაბამისად ეკრანზე შეიცვლება სპექტრული სურათიც. დისკრიმინატორი თითოეული ადამიანის ხმის ინდივიდუალობას აღბეჭდავს. კვლევის დროს დადგინდა, რომ ადამიანის ხმის გამოცნობისათვის ენას და ტექსტს გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, რა ენაზეც უნდა მეტყველებდეს ადამიანი, პიროვნების ინდივიდუალური თვისებები თითქმის იგივე რჩება. მაშასადამე, გართულდა ელექტრონული გამომთვლელი მანქანის დანიშნულება. მეტყველების გამოცნობასთან ერთად იგი იხსომებს ამა თუ იმ პიროვნებისათვის დამახასიათებელ სპექტრულ იმპულსებს და ინახავს თავის „მეხსიერებაში“.

— ბგერითი სიგნალების ავტომატურ გამოცნობას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, — გვეუბნება გ. რამიშვილი. — მისი გამოყენება შეიძლება სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში, კრიმინალისტიკაში, ამ პრობლემით დაინტერესებული არიან ფიზიოლოგები, ბიოლოგები, ფსიქოლოგები და სხვა დარგის სპეციალისტები, მაგრამ ეს პრობლემა მაინც ნაკლებად არის შესწავლილი.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება. ავტომატურ სისტემას აღმოაჩნდა უნარი ადამიანზე უკეთ განასხვაოს მიმგვანებული ხმა ნამდვილი ხმისაგან. გამოირკვა, რომ ხმის შეცვლა საკმაოდ იოლია, მაგრამ მისი მიზანდასახულად დამსგავსება სხვის ხმასთან — ძალზე რთული პროცესია და თუ პროფესიონალ იმიტატორს ამ გზით შეუძლია მსმენელზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინოს, ავტომატური სისტემის შეცდომაში შეყვანა პრაქტიკულად შეუძლებელია.

განყოფილების უფროს ინჟინერთან გურამ კაპანაძესთან ერთად მართვის ცენტრში ჩავდივართ, სადაც ელექტრონული გამომთვლელი მანქანა დგას.

ლაბორატორიიდან გამომთვლელმა მანქანამ პირდაპირ მიიღო სიტყვიერი ბრძანება, რომ 20 სიტყვა შეედარებინა საკუთარი მეხსიერებისათვის და გამოეცნო.

წუთიც, და სამართავი პულტის უჯრედებში აციმციმდა ნათურები. ამუშავდა გამომთვლელი მანქანის ელექტრონული „სისხლძარღვები“. იგი ფიქრობს, „1“-ით დანომრილ კარადაში რამდენჯერმე დატრიალდა მაგნიტოფირის ბობინა, რაც იმის მაუწყებელია, რომ მანქანა თავის „მეხსიერებაში“ ადარებს წინასწარ ჩაწერილ კოდებს.

და უკვე გაისმის საბეჭდი მანქანის კაკუნი. პერფოქაღალდის ფირზე პასუხი იბეჭდება. ელექტრონულმა მანქანამ შეძლო როგორც სიტყვების, ისე ადამიანის პიროვნების გამოცნობა.

ლ. ხუბულური.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „რესპუბლიკის სასწავლებლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში განსაკუთრებით განვითარდა და აყვავდა ქართული ენა და ლიტერატურა. ქართულ ენაზეა სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში, აგრეთვე საქმის წარმოება პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში, სამეცნიერო და კულტურულ დაწესებულებებში, მილიონიანი ტირაჟით გამოდის ჟურნალ-გაზეთები, პოლიტიკური, მეცნიერულ-ტექნიკური და მხატვრული ლიტერატურა, წარმოებს ტელე- და რადიოგადაცემები. ქართველ მეცნიერებს, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს ღირსეული წვლილი შეაქვთ მრავალეროვნულ საბჭოთა კულტურაში.

რესპუბლიკაში შექმნილია და მრავალი წლის მანძილზე ნაყოფიერად მუშაობს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების სამდგენი მთავრობის მუდმივი კომისია; გამოცემულია „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რვატომეული, გამოდის ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, გამოიცა მრავალი ლექსიკონი და სხვადასხვა საცნობარო ლიტერატურა.

ქართული ენისა და ლიტერატურის პრობლემებზე ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწევიან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებში და უმაღლესი სასწავლებლების შესაბამის კათედრებზე, რაც ხელშემწყობ პირობებს ქმნის, რათა ყოველმხრივ განვითარდეს ქართული ენა და ლიტერატურა, ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა.

შემდეგ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში განხორციელდა მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ქართული ენისა და ლიტერატურის შემდგომი განვითარება და სწავლების გაუმჯობესება.

ამასთანავე, როგორც ეს ნათქვამია დადგენილებაში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ყურადღებას მიაპყრობენ იმას, რომ რესპუბლიკის სასწავლებლების ბევრი მოსწავლის ზეპირი მეტყველებისა და წერის კულტურის დონე, აგრეთვე ქართული ლიტერატურის ცოდნის სიღრმე და მოცულობა ჯერ კიდევ საკმარისი არ არის. დადგენილებაში აგრეთვე აღნიშნულია, რომ ქართული სალიტერატურო ენა არცთუ იშვიათად მახინჯდება პრესაში ტელე- და რადიოგადაცემებში, ზოგიერთ მხატვრულ ნაწარმოებში, კინოსა და თეატრალურ დადგმებში, ფირნიშებზე, ფიშებზე, სარეკლამო გამოშვებებში და სხვ.

დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ მოსწავლეთა ქართული ენისა და ლიტერატურის ცოდნის დონე ჯერ კიდევ დაბალია. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ის, რომ სრულყოფილი არ არის სასწავლო პროგრამების ნაწილი და მთელი რიგი სახელმძღვანელოები, ხშირად გაკვეთილს ჯეროვნად არ იყენებენ სწავლებისა და აღზრდის ერთიანობის პრინციპის მუდმივი განხორციელებისათვის, მოსწავლეთა მაღალი იდეურ-ზნეობრივი და ესთეტიკური თვისებების ჩამოყალიბებისათვის.

ამავე დროს ზოგან ჯეროვნად არ ესმით, რომ მშობლიური ენისა და ლიტერატურის განვითარების კანონების ღრმა ცოდნა კი არ ეწინააღმდეგება, პირიქით, ხელს უწყობს რუსულისა და სხვა ენების საფუძვლიან შესწავლას.

შემდეგ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ნაკლოვანებებია ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა კადრების მომზადება-გადამზადებაში, დაბალია ზოგიერთი პედაგოგის კვალიფიკაცია, თვალსაჩინო დიდაქტიკური მასალითა და სწავლების თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით სათანადოდ უზრუნველყოფილი ვერ არის სასწავლო კაბინეტები; ხაზგასმულია, რომ საკმარისი ყურადღება არ ეთმობა მოსწავლეთა სწორი ლიტერატურული მეტყველებისა და წერის კულტურის განვითარებას სხვა ზოგადსაგანმანათლებლო საგნების გაკვეთილებზეც.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაევალა დაამთავროს 1979 წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის ქართული ენისა და ლიტერატურის ახალი, უფრო სრულყოფილი სასწავლო პროგრამების შედგენა, ხოლო 1980-1981 წლებისათვის — ქართული ენისა და ლიტერატურის ახალი სასკოლო სახელმძღვანელოების შედგენა და აპრობაცია, აგრეთვე სავალდებულო კლასგარეშე საკითხავი ქრესტომათიის გამოცემა, ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში შექმნას ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტები, აღჭურვოს საჭირო მოწყობილობით, თვალსაჩინო დიდაქტიკური მასალითა და სწავლების თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით; გააძლიეროს სახალხო განათლების ორგანოების, მეთოდიკური კაბინეტების, სასწავლებლების ხელმძღვანელთა, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა პასუხისმგებლობა სწავლების ხარისხისათვის, იბრძოლოს იმისათვის, რომ ყოველმხრივ ამაღლოს თითოეული გაკვეთილის ეფექტიანობა, რათა სტიმული მიეცეს მოსწავლეთა გააზრებულ საქმიანობას სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ფაქტობრივი მასალის ღრმა და მტკიცე ათვისების საფუძველზე; უზრუნველყოს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების პრაქტიკის შემდგომი სრულყოფა და განაგრძოს მუშაობა პედაგოგიური კადრების თვისებრივი შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის. მიზანშეწონილად ჩაითვალა მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტში ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის შექმნა.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს დაევალა შეისწავლოს და გადაწყვიტოს სასწავლო გეგმების სრულყოფის საკითხი იმის გათვალისწინებით, რომ როგორც სპეციალური, ისე არასპეციალური ფაკულტეტების სტუდენტებმა უფრო ღრმად შეისწავლონ ქართული ენისა და ლიტერატურის შესაბამისი კურსი, აამაღლოს უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა პასუხისმგებლობა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა მომზადების ხარისხისათვის, გააძლიეროს მომთხოვნელობა სტუდენტებისადმი და განახორციელოს ღონისძიებანი მათი იდეურ-პოლიტიკური და პროფესიული მომზადების სრულყოფისათვის, აგრეთვე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან ერთად უზრუნველყონ სტუდენტთა პედაგოგიური პრაქტიკისა და სტაჟირების შემდგომი გაუმჯობესება.

დადგენილება საქართველოს სსრ გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს ავალებს დროულად და ხარისხიანად გამოსცეს სახელმძღვანელოები, დამხმარე, მეთოდიკური და სხვა ლიტერატურა, მათ შორის მხატვრული ლიტერატურა სკოლამდელი და სკოლის ასაკის ბავშვებისათვის.

მიღებულია ცნობად, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო განიხილავს და დადებითად წყვეტს ქართულ ენაზე შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომთა მასალების რუსულად თარგმნის დაფინანსების, აგრეთვე ქართული ენისა და ლიტერატურის ახალი სახელმძღვანელოების გამოცემისა და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ დამატებებისათვის საშტატო ერთეულების გამოყოფის საკითხს.

რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს წინადადება მიეცათ სისტემატურად გამოაქვეყნონ მასალები და პრაქტიკაში დანერგონ მიზნობრივი გადაცემები ქართული ენის სიწმინდის დაცვისა და მისი შემდგომი განვითარების საკითხებზე, რეცენზიები ქართული ენისა და ლიტერატურის დარგში აქტუალური ნაშრომებისა და გამოკვლევების შესახებ.

დადგენილებაში შესაბამის პარტიულ, საბჭოთა და სახალხო განათლების ორგანოებს რჩევა ეძლევათ განახორციელონ ღონისძიებანი, რათა გაუმჯობესდეს აფხაზური, ოსური, სომხური, აზერბაიჯანული და სხვა ენებისა და ლიტერატურის სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაავალეს პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი ამ დადგენილების უთუო შესრულებისათვის. (საქინფორმი).

დროის მოთხოვნა

განიარაღების მსოფლიო კონფერენციის მოწვევისათვის

□

ნიუ-იორკი, 11 აპრილი. (საკდესის კორ.). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში მუშაობა დაიწყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების მსოფლიო კონფერენციის სპეციალურმა კომიტეტმა. ასეთი ფორუმის მოწყობის იდეა საბჭოთა კავშირს ეკუთვნის და შემდეგ მას ფართოდ დაუჭირეს მხარი როგორც მსოფლიოს საზოგადოებრივმა აზრმა, ისე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბევრმა წევრმა სახელმწიფომ.

კონფერენციის გახსნაზე გამოსვლისას სსრ კავშირის წარმომადგენელმა ჩ. ე. ფოკინმა აღნიშნა, რომ განიარაღების პრობლემა ეხება ყველა ხალხისა და სახელმწიფოს საარსებო ინტერესებს და ამიტომ შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ მათი ერთობლივი მეცადინეობით. შარშან გამართული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განიარაღების სპეციალური სესია მოწმობს, თუ რაოდენ საჭიროა ასეთი მსოფლიო ფორუმები.

საბჭოთა კავშირი თვლის, რომ მსოფლიო კონფერენცია იქნება ფორუმი, რომელსაც შეუძლია მიიღოს ეფექტიანი ღონისძიებანი, რომლებიც გასცდება რეკომენდაციათა ფარგლებს და სავალდებულო ხასიათი ექნება ყველა სახელმწიფოსათვის. ამიტომ დადგა დრო გადაიდგას ახალი ნაბიჯი კონფერენციის მოწვევის საკითხის გადაწყვეტის გზაზე.

კონფერენციის რაც შეიძლება მალე მოწვევას დაუჭირეს მხარი აგრეთვე ჩეხოსლოვაკიისა და შრი ლანკის წარმომადგენლებმა.

დადგენილია არჩევნების თარიღი

რომი, 11 აპრილი. (საკდესი). იტალიაში გამოაცხადეს პარლამენტის ვადამდელი არჩევნების ჩატარების თარიღი. არჩევნები დანიშნულია 3-4 ივნისისათვის.

იტალიის პარლამენტი ქვეყნის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით დაითხოვეს 2 აპრილს, რადგან შეუძლებელი გახდა სხვა გზით მთავრობის კრიზისის მოწესრიგება, რომელიც სამი თვეა გრძელდება იტალიაში. კრიზისი დაიწყო ხუთი პარტიისაგან შემდგარი საპარლამენტო უმრავლესობის დაშლისა და ქრისტიან დემოკრატთა ერთპარტიული მთავრობის გადადგომის შემდეგ, რომელიც ამ უმრავლესობას ეყრდნობოდა. მაშინ კომუნისტური პარტია გამოვიდა უმრავლესობის შემადგენლობიდან, რამდენადაც ქრისტიანულ-დემოკრატიულმა პარტიამ არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულებანი.

სომოსა შეერთებულ შტატებში

ვაშინგტონი, 11 აპრილი. (საკდესი). ამერიკის შეერთებულ შტატებში დიდის ამბით შეხვდნენ დიქტატორ სომოსას, რომელიც აქ, როგორც ოფიციალურად გამოცხადებულია, „სააღდგომო არდადეგებზე“ ჩამოვიდა. სომოსას მხეცობა ნიკარაგუელი ხალხის წინააღმდეგ, როგორც ჩანს, სრულიად არ აღელვებს ადგილობრივ „დემოკრატიისათვის მებრძოლთ“. მათ ჩანს „დაივიწყეს“ ფართო კამპანიები ადამიანის უფლებათა „დასაცავად“ და არათუ მიიღეს დიქტატორი, არამედ ყოველნაირად ცდილობენ გადაარჩინონ ნიკარაგუის ანტიხალხური რეჟიმი. როგორც გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ იუწყება, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა, რომელსაც კონტროლს უწევს ამერიკის შეერთებული შტატები, პრაქტიკულად გადაწყვიტა სომოსასათვის 40 მილიონი დოლარის სესხის მიცემის საკითხი.

საერთაშორისო ცხოვრება
დედამიწის ზურგზე

ჯ. კარტერის პრესკონფერენცია

ვაშინგტონი, 11 აპრილი. (საკდესი). აქ გამართულ პრესკონფერენციაზე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა უპასუხა რა კითხვაზე, თუ როგორ მიმდინარეობს საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ, თქვა: ჩვენ გამუდმებით და მტკიცედ მივიწევთ წინ. მოლაპარაკების პროცესი არასოდეს არ შეწყვეტილა. ამ ბოლო დროს გადაიდგა ახალი ნაბიჯები სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ შეთანხმების შემუშავების დამთავრების გზაზე. დარჩა კიდევ რამდენიმე გადასაწყვეტი საკითხი.

პრესკონფერენციის მსვლელობაში პრეზიდენტმა მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკურ პრობლემებს. მან კვლავ დაადასტურა, რომ მათ შორის ყველაზე გადაუდებელი და მწვავეა ინფლაცია, და გამოთქვა „იმედგაცრუება“ იმის გამო, რომ ფასების ზრდის ტემპი საშუალო წლიური განგარიშებით 13 პროცენტს შეადგენს.

ჯ. კარტერმა დაადასტურა, რომ იგი განახორციელებს ქვეყნის შიგნით ამოღებული ნავთობის ფასებზე მთავრობის კონტროლის ეტაპობრივ გაუქმებას. სპეციალისტთა გაანგარიშებით, ამას მოჰყვება ამერიკის ნავთობის ფასების გადიდება 1981 წლისთავის 50 პროცენტით. პრეზიდენტმა აღიარა, რომ თუნდაც კონგრესმა მოიწონოს წინადადება ნავთობის კონცერნების მოგებაზე დამატებითი გადასახადის შემოღების შესახებ, ეს მოგება უახლოეს სამ წელიწადში კიდევ 6 მილიარდი დოლარით გაიზრდება.

ლიბანის წინააღმდეგ ისრაელის აგრესიის ახალი აქტის გამო ჯ. კარტერს მისცეს კითხვა, მიაჩნია თუ არა, რომ ისრაელსა და ეგვიპტეს შორის „საზავო“ ხელშეკრულების დადების შემდეგ მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში კიდევ უფრო გამწვავდება, და ხომ არ აპირებს იგი ამიტომ შეუწყვიტოს იარაღის მიწოდება ამ რეგიონის ქვეყნებს.

პრეზიდენტმა არსებითად თავი აარიდა პასუხს ამ კითხვაზე და განაცხადა, რომ შეერთებული შტატები მიაწვდის იარაღს ისრაელსა და ეგვიპტეს.

შურისგება დანაშაულობებისათვის

თეირანი, 11 აპრილი. (საკდესი). აქ გამოაცხადეს, რომ დამთავრდა შაჰის რეჟიმის 11 მაღალი თანამდებობის მოღვაწის სასამართლო პროცესი. ისლამურმა სასამართლომ ისინი დამნაშავედ ცნო ირანელი ხალხის წინააღმდეგ დანაშაულობათა ჩადენაში, განაჩენი დღეს დილით აღასრულეს. სიკვდილით დასჯილთა შორის არიან შაჰის უახლოესი დამქაშები, კერძოდ, ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, სენტოს გენერალური მდივანი ხალათბარი, ამჟამად დათხოვილი შაჰის გვარდიის სარდალი გენერალი ნეშათი, სავაკის საიდუმლო პოლიციის შეფები გენერლები მოქადამი და ფაქრავანი, მეჯლისის დეპუტატები და სენატორები. სასამართლომ მიიღო აგრეთვე გადაწყვეტილება მათი ქონების კონფისკაციის შესახებ.

უკანასკნელი ხუთი დღის მანძილზე ირანში რევოლუციური სასამართლოების განაჩენისამებრ დახვრიტეს შაჰის რამდენიმე მინისტრი, მათ შორის ა. ა. ჰოვეიდა, რომელიც 13 წლის განმავლობაში მეთაურობდა შაჰის მთავრობას.

როგორც ირანის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ა. ამირ-ენთეზამმა განაცხადა, იმ პირთა საქმის განხილვას, რომლებსაც ბრალად ედებათ შაჰის რეჟიმის დროს ჩადენილი სხვადასხვა დანაშაულობანი, სულ ცოტა ერთი წელიწადი დასჭირდება.

მდგომარეობა უგანდაში

ლონდონი, 11 აპრილი. (საკდესი). როგორც უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოების კორესპონდენტები იუწყებიან, ტანზანიის ჯარებმა და აჯანყებულთა რაზმებმა, რომლებიც ი. ამინის მთავრობის წინააღმდეგ გამოდიან, დღეს დაიკავეს უგანდის დედაქალაქი კამპალა. თვით ამინი წინა დღით გაემგზავრა ქალაქ ჯინჯუში, ას კილომეტრზე კამპალის აღმოსავლეთით. მაგრამ ამჟამად ამ ქალაქსაც უშენენ არტილერიასა და რაკეტებს.

კარიკატურისტის კომენტარი



ორი ბატონის მსახური.

გ. ლომიძის ნახატი.

მოკლედ
ყოველი მხრიდან

12 აპრილი

პარიზი. ზემო გარონის დეპარტამენტის კომუნისტებმა მოითხოვეს აიკრძალოს თავყრილობა, რომელიც ფრანგ, იტალიელ და ესპანელ ნეოფაშისტებს განზრახული აქვთ მოაწყონ 4 მაისს ტულუზაში. ამჟამად სამრეწველო საწარმოებში, კერძოდ, „ავიაკოსმოსური მრეწველობის ეროვნული საზოგადოების“ ტულუზის საავიაციო ქარხნებში აგროვებენ ხელმოწერას პეტიციაზე, რომელიც მოუწოდებს ბოლო მოუღონ ნეოფაშისტთა დანაშაულებრივ მოქმედებას ქვეყანაში.

ბონი. უმუშევრობა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის უდიდეს სამრეწველო რაიონში — რურის ოლქში გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე მთლიანად ქვეყანაში. როგორც გაზეთი „ჰანდელსბლატი“ აღნიშნავს, უმუშევრობის დონე რურში თვითმოქმედი მოსახლეობის 6,4 პროცენტს შეადგენს, ხოლო ისეთ ქალაქებში, როგორიც არის გელზენკირხენი, იგი გაცილებით უფრო მაღალია, ამასთან იზრდება იმ უმუშევართა რიცხვი, რომლებიც სამუშაოს მოკლებული არიან წლისა და მეტი ხნის განმავლობაში. ამჟამად მათმა რიცხვმა რურში უკვე 30 ათას კაცს გადააჭარბა.

ნიუ-იორკი. კაპიტალისტური სისტემა ბევრ დარგში უაღრესად სერიოზულ სიძნელეებს განიცდის, განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის გენერალურმა მდივანმა გ. ჰოლმა. ვისკონსინის შტატის მილუოკის უნივერსიტეტში გამოსვლისას მან ხაზი გაუსვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკა უმაგალითო ქაოსის მდგომარეობაშია, მისი დამახასიათებელი ნიშნებია უმუშევრობის ფრიად მაღალი დონე და ინფლაციის შეუჩერებელი ზრდა. ამერიკის საზოგადოების ერთ-ერთი საჭირბოროტო პრობლემაა, აღნიშნა ამერიკელი კომუნისტების ლიდერმა, რასიზმი, რომელსაც სამართლიანად უწოდებენ ამერიკის შეერთებული შტატების უბედურებას. ქვეყნის მოსახლეობის თითქმის მესამედს შეადგენენ ზანგები, პუერტორიკოელები, ინდიელები, ლათინური ამერიკელები და აზიელები, რომლებიც სასტიკი რასობრივი ჩაგვრის პირობებში ცხოვრობენ.

პანამა. დისკრიმინაციული პოლიტიკა, რომელსაც პანამის არხის ზონაში ახორციელებს ამერიკის ადმინისტრაცია, დაგმო თავის გამოსვლაში პანამის ყელის მშრომელთა პროფცენტრმა. არხის ზონაში თანაბარი მუშაობისათვის ქვეყნის მკვიდრი მცხოვრებნი იღებენ გაცილებით ნაკლებ ხელფასს, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქენი. გარდა ამისა, იქ არსებობს სეგრეგაციის დამამცირებელი სისტემა, რომლის დროს პანამელები იძულებული არიან გეტოებში, ქოხმახებში იცხოვრონ, მაშინ როცა ამერიკელების განკარგულებაშია კეთილმოწყობილი სახლები, ფეშენებელური დასასვენებელი და გასართობი ადგილები. (საკდესი).

ზრუნვა, გულისყური — მშობლიური ენის, ლიტერატურის სწავლებას!

შეუნელებელი ყურადღებით

დიდი სიამოვნებითა და მადლიერებით წავიკითხე გაზეთ „კომუნისტის“ 12 აპრილის ნომრის მოწინავე წერილში, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამ დღეებში მიიღეს დადგენილება „რესპუბლიკის სასწავლებლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

ეს არის კიდევ ერთი ძლიერი გამოხატულება იმისა, თუ როგორ სისტემატურად და გულისხმიერად ზრუნავენ ჩვენი პარტია და მთავრობა მშობლიური ხალხის ყოველდღიური საჭიროებისათვის, მისი სულიერი კულტურის ამაღლებისათვის. შემდეგ, ჩვენი პარტიისა და მთავრობის ამ დადგენილებაში დასახულია ქმედითი კონკრეტული ღონისძიებანი საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების ასამაღლებლად. დიდი ხნის წარსულის მქონე ქართული ენა და ლიტერატურა, რომლის მდიდარ წიაღშიც 1500 წლის წინათ დიდმა ქართველმა მწერალმა იაკობ ცურტაველმა დაწერა საქვეყნოდ სახელგანთქმული მოთხრობა „შუშანიკის წამება“, ხოლო XII საუკუნეში შოთა რუსთაველმა შექმნა გენიალური „ვეფხისტყაოსანი“, დიახ, რომ ღირსია, შეუნელებელი ყურადღებით იყოს მოსილი.

ქართველი ხალხის სულიერი კულტურის ამაღლებისათვის ეს ფრიად მნიშვნელოვანი დადგენილება ძალიან ბევრს გვავალებს ჩვენც, ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტებსაც. ახლა ჩვენი ვალია, კიდევ უფრო მეტად დავძაბოთ ენერგია და ვიზრუნოთ ენისა და ლიტერატურის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებისათვის, უფრო ინტენსიურად ვიკვლიოთ ჩვენი საყვარელი ენა და ლიტერატურა, შევქმნათ ახალი მოთხოვნების შესაბამისი, კარგად მოფიქრებული პროგრამები და დახვეწილი, ზუსტი და ადვილად გასაგები სახელმძღვანელოები.

და მეც, როგორც ამ დარგის ერთი რიგითი მუშაკი, გულწრფელად მივესალმები ამ დროულ დადგენილებას და შევეცდები, აქტიური მონაწილეობა მივიღო ამ საშვილიშვილო საქმეში.

ივანე იმნაიშვილი,
პროფესორი.

ენის პატრონი ხალხია

„რა ენა წახდეს, ერი დაეცეს, ჩირქი მოეცხოს ტაძარსა წმიდას“, ბრძანებს გრიგოლ ორბელიანი. ეს მცნება ძვალსა და რბილში უნდა ჰქონდეს გამჯდარი ყოველ ადამიანს. ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ალბერტ შვაიცერი წერდა: ჩემი ცხოვრება ისე წარიმართა, რომ ბავშვობიდანვე ზედმიწევნით ვფლობდი ორ ენას — გერმანულსა და ფრანგულს. ვერ გამერჩია, რომელი იყო ჩემთვის მშობლიური. მაგრამ ერთხელ, როცა მძიმე ავადმყოფმა გერმანულად დავიკვნესე — ვაიმე, დედავ, — მაშინ მივხვდი, რომლისათვის უნდა მეწოდებინა მშობლიური.

ეს უნდა გვახსოვდეს, თორემ ენების ცოდნას რა ჯობს. ანდაზა ამბობს, რამდენი ენა იცი, იმდენი კაცი ხარო. დაე, ვიცოდეთ ბევრი ენა, ოღონდ უპირველესად ქართული. ამიტომ ყოველი დოკუმენტი, რომელიც იცავს, უვლის და უფრთხილდება მშობლიურ ენას, მისასალმებელია. ასეთია დღეს გამოქვეყნებული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს მთავრობის დადგენილება. მაგრამ დოკუმენტი დოკუმენტად დარჩება, თუ მისი განხორციელებისათვის ყოველმა მოქალაქემ არ იზრუნა, ხალხი არ გაუხდა პატრონად. სამწუხაროდ, ზოგჯერ, მეტი რომ არა ვთქვა, თავად ვეკიდებით უდიერად ქართულს, ვამახინჯებთ მას. ეს ხდება ოჯახში, სკოლაში, უმაღლეს სასწავლებელში, პრესაში რადიოსა და ტელევიზიაში... ეს უდიერება ღრმა მოკრძალებით უნდა შეიცვალოს. ასეც იქნება. უეჭველია, ჩვენი ხალხი გულდასმით გაეცნობა დღეს გამოქვეყნებულ დოკუმენტს და ღირსეულად უპატრონებს რუსთაველის ტკბილ ქართულს.

აკაკი ბაქრაძე,
თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორი.

ძალმოსილება დედაენისა

ეს უმნიშვნელოვანესი დადგენილება რესპუბლიკის ყოველმა მოქალაქემ უნდა აღიქვას როგორც საქმედ ქცევა ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსისა. იგი ალბათ გამოწვლილვითი ანალიზის საგნად მერმე იქცევა, ამ „ცხელ გულზე“ კი სამ მომენტზე მინდა გავამახვილო ყურადღება: დადგენილებაში მკაფიოდ არის მითითებული, რომ ქართული ენა ფუნქციონირებს ჩვენი ცხოვრების ყოველ სფეროში: ეს გახლავთ სწორედ ჩვენი დედაენის ბალავარი — კონსტიტუციით დაკანონებული და ამ დადგენილებით განმტკიცებული.

მეორე ასპექტი შინაგანი აუცილებლობით გამომდინარეობს დადგენილებიდან — ყოველი მოქალაქის მოვალეობის საკითხი დედაენის წინაშე: დიდი სიკეთეა, როცა ენა სახელმწიფოებრივი ზრუნვით არის გარემოსილი, მაგრამ ეს არამც და არამც არ გვათავისუფლებს მისი ბედ-იღბლისათვის პირადი პასუხისმგებლობისაგან. ყველა სიკეთე, რასაც ეს დადგენილება იძლევა, უნდა შევაფასოთ, დავაფასოთ და გამოვიყენოთ.

დედაენის სიცოცხლისა და ძალმოსილების უპირველესი პირობა ის გახლავთ, რომ იგი ბავშვში უნდა ცოცხლობდეს — დედაენით უნდა აიდგას ენა, დედაენაზე უნდა ისწავლოს. ამ წმიდათაწმიდა ტვირთისათვის მხრები პედაგოგიკურ პრესასაც აქვს შედგმული. ვიწროუწყებრივი ინტერესები არ მალაპარაკებს — დადგენილებაში საგანგებოდ დასახული ღონისძიებანი იმის თაობაზე, რომ ჩვენს დამატებას „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“ უკეთესი სამუშაო პირობები შეექმნას უეჭველად დაგვეხმარება ამ ტვირთის ზიდვაში.

თამაზ კვაჭანტირაძე,
რედაქტორი ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ დამატებისა — „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“.

ჰეგემონისტთა დანაშაული

ტოკიო. (საკდესი). ჩინეთის ჯარებს კვლავინდებურად ხელთ უპყრიათ ბევრი პუნქტი ვიეტნამის ტერიტორიაზე. ამასთან პეკინის ხელისუფალნი ზრდიან ჯარების რიცხვსა და შეიარაღებას ვიეტნამის საზღვარზე და აძლიერებენ ზეგავლენას ვიეტნამის სოციალისტურ რესპუბლიკაზე, განაცხადა ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ სუან თხიუიმ.

ვიეტნამის მხარე, თქვა მან გაზეთ „აკახატასათვის“ მიცემულ ინტერვიუში, გულწრფელად ისწრაფვის მშვიდობა და მეგობრობა დაამყაროს ჩინელ ხალხთან, წამოაყენა კონკრეტული წინადადებანი მოლაპარაკების შესახებ. მაგრამ თუ ჩინეთის მხარე მოლაპარაკებაზეც არ ეცდება ვიეტნამის სოციალისტურ რესპუბლიკასთან სასაზღვრო საკითხებისა და ურთიერთობის სწორ მოწესრიგებას, მთელი პასუხისმგებლობა შედეგებისათვის დაეკისრებათ პეკინელ ლიდერებს. ვიეტნამელი ხალხი საკადრის პასუხს გასცემს თავისი სამშობლოს წინააღმდეგ ყოველ ახალ აგრესიას.

ჩინეთის ხელმძღვანელები, თქვა სუან თხიუიმ, განუწყვეტლივ ლაყბობენ ჰეგემონიზმის შესახებ. ეს აურზაური მათ იმისათვის დასჭირდათ, რომ მიჩქმალონ საკუთარი ექსპანსიონისტური, დიდმპყრობელური და ჰეგემონისტური მისწრაფებანი. პეკინი პირს კრავს ყველაზე რეაქციულ იმპერიალისტურ წრეებთან და ოცნებობს მათი დახმარებით განახორციელოს ექსპანსიის გეგმები.

პეკინის მმართველი წრეების ზრახვები ვიეტნამსა და კამპუჩიაში ჩაიფუშება, მაგრამ ჩინელ ჰეგემონისტებს ხელი არ აუღიათ თავიანთ ექსპანსიონისტურ მისწრაფებებზე ინდოჩინეთის სამი ქვეყნისა და მთელი აზიის კონტინენტის მიმართ, ხაზი გაუსვა სუან თხიუიმ და შემდეგ თქვა: ვიეტნამი არ აპირებს შექმნას ინდოჩინეთის კავშირი, რასაც ყალბად ამტკიცებენ ჩინეთის ლიდერები და პოლ პოტ-იენგ სარის ხროვა. ვიეტნამელი, ლაოსელი და კამპუჩიელი ხალხები შეკავშირდნენ კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ისინი ახლა განამტკიცებენ ერთიანობას თავიანთი დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად.

ჰანოი. (საკდესი). ბავშვის საერთაშორისო წლის მომწყობმა ვიეტნამის კომიტეტმა შექმნა სპეციალური კომისია, რომელმაც უნდა გამოიძიოს ჩინელ ჰეგემონისტთა და ექსპანსიონისტთა დანაშაული ვიეტნამის ახალგაზრდა თაობის წინააღმდეგ. მისი მთავარი ამოცანა ის არის, რომ შეაგროვოს მასალები მაოისტთა მხეცობის, პეკინის მმართველი წრეების მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და ბავშვის უფლებათა დეკლარაციის დარღვევის შესახებ. კომისიის თავმჯდომარე გახდა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე დინ კაუ.

კომისიაში მოდის პირველი მასალები ვიეტნამელ ბავშვთა წინააღმდეგ ჩინეთის მხედრიონის ენით აუწერელი დანაშაულის შესახებ. ჩინელი ჯარისკაცები მასობრივად უსწორდებოდნენ და სიკვდილით სჯიდნენ მოსახლეობას ჰოანგლიენშონის, კაობანგისა და ლანგშონის პროვინციებში, ანგრევდნენ და წვავდნენ საბავშვო ბაღებს, სკოლებს, საავადმყოფოებსა და კლუბებს.

ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში დგება

დალეწილი ჩინური ტანკები და ჯავშანტრანსპორტიორები, ვიეტნამის სახალხო არმიის მეომრებისა და სახალხო მოლაშქრეთა რაზმების ბრძოლები ჩინელ ინტერვენტთა ურდოების წინააღმდეგ, ჩინეთის მხედრიონის ბარბაროსულ დანაშაულობათა კვალი — დანგრეული სახლები, სოფლები, ჩინელ ჯარისკაცთა მიერ წამებულ მშვიდობიან მცხოვრებთა გვამები — ეს არის კადრები ახალი სრულმეტრაჟიანი ფილმიდან „პეკინის აგრესიული ომი და მისი სამარცხვინო დამარცხება“, რომელიც რესპუბლიკის კინოთეატრების ეკრანებზე გამოვიდა.

— ჰანოელ დოკუმენტალისტთა ახალი ნამუშევარი ბრალს სდებს ჩინეთის მხედრიონს. მასში მხილებულია ჩინეთის მმართველი წრეების ჰეგემონისტური კურსი ერთიანი სოციალისტური ვიეტნამის წინააღმდეგ, უთხრა საკდესის კორესპონდენტს თვალსაჩინო ვიეტნამელმა კინორეჟისორმა ჰაი ნინმა. — ეს არის კინოდოკუმენტალისტთა წვლილი პეკინის აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ საერთო ბრძოლაში.

ლანგშონი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ხრეკოვი იუწყება: ჩინეთის მხედრიონის მიერ დანგრეული საქალაქო სტადიონის მახლობლად, ლანგშონის ცენტრში, ნანგრევებად ქცეულა საქალაქო საშუალო სკოლის შენობა — მერხების ნამსხვრევები, ბათქაშის, აგურის ნამტვრევები, დამწვარი სახელმძღვანელოების ფურცლები, ერთ-ერთ კედელზე ჰკიდია სასკოლო დაფა, რომელზეც ცარცით დაწერილი გაკვეთილების ცხრილის წაკითხვა შეიძლება. მაგრამ მეცადინეობა არ გამართულა, ლანგშონის მშვიდობიან ცხოვრებაში 17 თებერვალს შეიჭრა ომი. დიდხანს არ აწკრიალდება აქ სკოლის ზარი. ამის მიზეზი ჩინეთის აგრესიაა.

განსაკუთრებით დაზარალდა ქალაქის ჩრდილოეთი ნაწილი, სადაც რამდენიმე დღეს პარპაშობდნენ ოკუპანტები. აფეთქებულია რკინიგზის ხიდი. კორპუსების ნანგრევების თავზე მილივა შემორჩენილა სამკურნალწამლო პრეპარატების ქარხნისა, აქ არ დარჩენილა არც ერთი საცხოვრებელი სახლი და სახელმწიფო დაწესებულება. ლანგშონის სამხრეთ ნაწილში შეჭრილმა ჩინელმა დივერსანტებმა და მენაღმეებმა ააფეთქეს ყველა ადმინისტრაციული ნაგებობა. მხოლოდ ერთი უფანჯრებო კედელი შემორჩენილა საქალაქო ბანკის ადგილას. სწორედ აქ, საქალაქო კომიტეტის წინ, პატარა მოედანზე მომცრო ობელისკია, რომელზეც წარწერილია: „ამ ადგილას 7 მარტს ჩინელ აგრესორთა ტყვიით დაიღუპა იაპონელი კომუნისტი, გაზეთ „აკახატას“ კორესპონდენტი ისაო ტაკანო“. ობელისკი ცოცხალი ყვავილებით არის შემკული მამაცი იაპონელი ჟურნალისტის ხსოვნის პატივსაცემად, რომელიც თავისი ინტერნაციონალური მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპა.

ამ დღეებში ლანგშონს მთელი ქვეყანა ეხმარება. ბევრი პროვინციიდან მოდის ბრინჯი, ქსოვილები, მედიკამენტები. იმ დღეებში, როცა ლანგშონში ვიყავით, აქ ჩამოვიდა სატვირთო მანქანების რამდენიმე კოლონა. ჩამოიტანეს 700 ტონა ბრინჯი და სიმინდი ჰაიჰინგიდან და ჰანამნინიდან. ჰანოის ნომრებიან მანქანებში იყო ტანსაცმელი, კონსერვები, სხვადასხვა საქონელი. ამ მანქანებითვე ჩამოვიდნენ მოხალისეები, რათა მონაწილეობა მიიღონ ლანგშონის აღდგენით სამუშაოებსა და სამშობლოს წმიდათაწმიდა საზღვრების დაცვაში. ლანგშონის ცხოვრება თანდათანობით ნორმალურ კალაპოტში დგება.

მხატვრის სამყარო

ირაკლი გამრეკელის სახლ-მუზეუმში



ირაკლი გამრეკელის სახლ-მუზეუმი ამ 20 წლის წინათ გაიხსნა. მისი ნამდვილი მნიშვნელობა თუ გვინდა გავითვალისწინოთ, უნდა გავიხსენოთ თვით ირაკლი გამრეკელის როლი და ადგილი დღევანდელი ქართული ხელოვნების განვითარებაში.

ირაკლი გამრეკელმა (1894-1943) ცოტა ხანს იცოცხლა, მაგრამ წარუშლელი კვალი დატოვა ქართული სათეატრო მხატვრობის ისტორიაში. სპეციალური სამხატვრო განათლება მას არ მიუღია, ყველაფერს თვითონვე, დიდი ბუნებრივი ნიჭისა და შთაგონების წყალობით მიაღწია. შემოქმედების ასპარეზზე იგი ოციანი წლების დასაწყისიდანვე გამოჩნდა, როცა ქართული საბჭოთა ხელოვნება პირველ ნაბიჯებს დგამდა, როცა მხატვართა ახალი თაობა დაუცხრომელი ძიების გზით ცდილობდა ახალი, რევოლუციური ეპოქის მოთხოვნილებათა შესაფერი მხატვრული ფორმა მოეძებნა.

ამით იყო გამოწვეული თანამედროვე ევროპული ხელოვნების მემარცხენე მიმართულებებით, კერძოდ, კუბიზმით, ექსპრესიონიზმით (თვით ფუტურიზმითაც კი!) გატაცება, რაც, ცხადია, დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა, მაგრამ დამახასიათებელი კი იყო იმ მღელვარე, ძიებით აღსავსე დროისათვის. ახალგაზრდა ირაკლი გამრეკელი ერთი პირველთაგანი იყო ამ „მემარცხენეთა" შორის, მაგრამ სულ მალე აღმოჩნდა, რომ მისი ნამდვილი მოწოდება სხვა იყო: თეატრის მხატვრობა, რომელსაც მან კოტე მარჯანიშვილის წყალობით სამუდამოდ დაუკავშირა თავისი ცხოვრება. რუსთაველის თეატრმა და ირაკლი გამრეკელმა, როგორც თეატრის მხატვარმა, თითქმის ერთდროულად აიდგეს ფეხი.

1923 წლიდან იგი ამ თეატრის მთავარი მხატვარია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ირაკლი გამრეკელი იმ დიდი რეფორმის ერთი მთავარი მონაწილეთაგანია, რომელმაც სათავე დაუდო დღევანდელ ქართულ თეატრს, ერთი ფუძემდებელთაგანია ქართული სათეატრო მხატვრობისა.

ვინც ქართული საბჭოთა თეატრის ისტორიას იცნობს, ვისაც რუსთაველის თეატრის 20-30-იანი წლების, სპექტაკლები ახსოვს, იმისათვის ნათელია, რა დიდი იყო გამრეკელის წვლილი ამ თეატრის შემოქმედებითი სახის ჩამოყალიბებაში — ჯერ მარჯანიშვილისა და შემდეგ ახმეტელის ხელმძღვანელობის დროს. საკმარისია გავიხსენოთ, რომ გამრეკელი იყო მხატვარი სწორედ იმ საკვანძო სპექტაკლებისა, რომლებმაც რუსთაველის თეატრის საკუთარი, მკაფიოდ ეროვნული, განუმეორებელი თავისებურება დაამკვიდრა. ეს იყო „ჰამლეტი", „შპიგელმენში", „ვირის ჩრდილი", „ლატავრა", „რღვევა", „ზაგმუკი", „ანზორი", „თეთნულდი", „ყაჩაღები", უფრო მოგვიანოდ — „ოტელო", „არსენა", „გიორგი სააკაძე", მანვე გააფორმა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში „აბესალომ და ეთერი", „დაისი" კიევში და სხვ.

მის შემოქმედებასთან კონტაქტის საშუალებას გვაძლევს, ცოცხალ ირაკლი გამრეკელთან შეხვედრის სიხარულს გვანიჭებს სახლ-მუზეუმი, რომელიც მთაწმინდის უბნის ერთ ძველებურ სახლში მდებარეობს. ამ მუზეუმის შემქმნელი და სულისჩამდგმელია მხატვრის მეუღლე ელენე ვაჩნაძე-გამრეკელი, რომელმაც უდიდესი სიყვარულით და თავდადებით მოუყარა თავი მხატვრის მემკვიდრეობას. თავის ბინაში მან შეძლო აღედგინა და დაეცვა ის გარემო, ის სულიერი და შემოქმედებითი ატმოსფერო, რომელიც აქ მხატვრის სიცოცხლეში სუფევდა. სწორედ ეს არის განსაკუთრებით დასაფასებელი: ირაკლი გამრეკელის სახლ-მუზეუმში მიღწეულია ის, რაც ყოველი მემორიული მუზეუმის მიზანს უნდა შეადგენდეს — ეს ცალკეული ექსპონატების კრებული კი არ არის, სადაც ყოველ მათგანს შეიძლება დიდი ღირებულებაც ჰქონდეს, მაგრამ მაინც განცალკევებულია, თავისთავადია. აქ ყოველი გამოფენილი სურათი და ნივთი, ავეჯი, მოწყობილობა ცხოვრების მთელი მონაკვეთის მთლიან სურათსა და ერთიან ემოციურ განწყობილებას ქმნის, გვაგრძნობინებს ეპოქის სურნელებას.

ირაკლი გამრეკელი ფართო მხატვრული ინტერესების ადამიანი იყო. სახლ-მუზეუმში, მისი საკუთარი ნამუშევრების (ნახატების, პორტრეტების, მრავალი ესკიზის) გარდა სხვა ქართველ მხატვართა და ძველ ევროპელ ოსტატთა სურათებიც არის დაცული.

ოცი წელია მუზეუმი დიდად დასაფასებელ საქმიანობას ეწევა. ახალი ქართული თეატრისა და მხატვრობის მკვლევარი მას გვერდს ვერ აუვლის — იმდენად ძვირფასია აქ დაცული ექსპონატები და საბუთები. მისი გაცნობა დიდად ამდიდრებს ჩვენს ცოდნასა და ჩვენს წარმოდგენას ეროვნული მხატვრული კულტურის მნიშვნელოვანი ეტაპის შესახებ. ირაკლი გამრეკელის სახლ-მუზეუმის ოცი წლის იუბილე სასიხარულო თარიღია ყველასათვის, ვისაც კი აინტერესებს და აღელვებს ქართული საბჭოთა ხელოვნების ბედ-იღბალი.

დიდი პატივისცემისა და მადლობის გრძნობით მივესალმები მუზეუმის დამაარსებელსა და ხელმძღვანელს ელენე ვაჩნაძე-გამრეკელს და მის დაუღალავ თანაშემწესა და მუზეუმის მომამაგეს, ფსიქოლოგსა და ხელოვნებისმცოდნეს ერასტ ვაჩნაძეს.

ვახტანგ ბერიძე.

მშვიდობიანი აფეთქება თბილისში

12 აპრილს საღამოს 6 საათზე თბილისის ცენტრში აფეთქების ხმა გაისმა. რამდენიმე წამში ჰაერში ავარდა ცენტრალური ტელეგრაფის ძველი სამსართულიანი შენობა, რომელიც ჯერ კიდევ 1910 წელს აშენდა. „ინჟმშენის", ბურღვა-აფეთქების სამუშაოების სამმართველოთა, სხვა ორგანიზაციათა სპეციალისტებმა და ამფეთქებლებმა წარმატებით გაართვეს თავი დავალებას. აფეთქება მშვიდობიანი იყო. იგი მოასწავებდა ძველის ნგრევას და ახლის დაბადებას: დაიცალა დაახლოებით 400 კვადრატული მეტრი ფართობის ტერიტორია, რომელიც შექმნის ახალ მოედანს, გამოაჩენს თანამედროვე შენობების ფასადებს. ქალაქის განვითარების გენერალური გეგმის მიხედვით ეს მოედანი ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი და კეთილმოწყობილი უნდა გახდეს.

ათასობით თბილისელი, ჩვენი დედაქალაქის სტუმრები ახლა ყოველდღიურად ივლიან ტელეგრაფის ახალ მაღლივ შენობაში. იგი აქვე, მეზობლად არის აღმართული. ახალ შენობაში უკვე მუშაობს საპარატო საამქრო, მალე ამოქმედდება ფოტოტელეგრაფი, კავშირგაბმულობის სხვა სამსახურები. ძველ, პრიმიტიულ აპარატებს ცვლიან ახალი, სრულყოფილი დანადგარებით, რომლებიც უზრუნველყოფენ უფრო ოპერატიულ სატელეგრაფო კავშირს ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხესთან.

(საქინფორმი).

◻

მხოლოდ ფაქტები

გეგეჭკორი (საკ. კორ. ბ. მილიუტინი). ბევრი რამ კეთდება დაბის კეთილმოსაწყობად, სასტუმრო „მარტვილს" ახალი კორპუსი მიაშენეს. გალამაზდა და მოეწყო მისი ინტერიერი. 618 გრძივ მეტრზე ბეტონის არტახებში მოაქციეს მდინარე ინჩხია, ქუჩებში დაიგო ასფალტი, შენდება საბაგირო გზა, რომელიც ცენტრს დააკავშირებს მარტვილის ცნობილ გორასთან, სადაც აღმართულია უძველესი ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი — მარტვილის მონასტრის კომპლექსი.

შენდება 24-ბინიანი საცხოვრებელი სახლი, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები.

◆ **ზესტაფონში** გაიმართა დიდი სამამულო ომის ვეტერანთა— მცირე მიწაზე ბრძოლების მონაწილეთა, აგრეთვე იმათი შეხვედრა, ვინც 25 წლის წინ გაემგზავრა ყამირი მიწების ასათვისებლად. ქალაქის მცხოვრებნი შ. ჩუბინიძე, გ. ნებიერიძე, ა. ბიწაძე და სხვები იხსენებდნენ გმირულ დღეებს, მეგობრობის საგმირო საქმეებს. ახალგაზრდობის წარმომადგენლებმა პირობა დადეს განაგრძონ მამა-პაპათა საქმე.

◆ **რუსთავის** მეტალურგიული ქარხნის მეფოლადეებმა თავიანთ ანგარიშზე ჩაწერეს წლის დამდეგიდან მესამე ჩქაროსნული ნადნობი. მიღებულია 1000 ტონამდე ზეგეგმითი ლითონი, რომლისგანაც შეიძლება 140 მუხლუხა ტრაქტორის დამზადება.

ჭადრაკი

ჭადრაკის დაფებთან

ნინო გურიელი — უძლიერესი

პოლონეთის ქალაქ ბიდგოშჩში დამთავრდა მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო ტურნირი. ისევე როგორც შარშან, წლეულსაც პირველობა არავის დაუთმო ქართველმა მოჭადრაკემ ნინო გურიელმა. მან ამჯერად 14 მეტოქესთან ჭიდილში 11 ქულა დააგროვა. ბოლო ტურში გურიელმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ჰოლანდიელ მარგარეტ ვერეკენთან, ხოლო ნანა იოსელიანმა დაამარცხა რუმინელი ვიორიკა ილიე. მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა ანეტ მიხელმა (გდრ) — 9,5 ქულა. 9-9 ქულა დააგროვეს იოსელიანმა, ტატიანა ლემაჩკომ (ბულგარეთი) და ილიემ. მესამე საპრიზო ადგილი მიეკუთვნა იოსელიანს, ვინაიდან მას უკეთესი კოეფიციენტი აღმოაჩნდა.

ორი ექს-ჩემპიონის შეხვედრა

მონრეალში (კანადა) დაიწყო უძლიერეს დიდოსტატთა ტურნირი, რომელშიც 10 მოჭადრაკე მონაწილეობს. ეს შეჯიბრება ჩატარდება ორ წრედ და თითოეულ სპორტსმენს 18 პარტიის თამაში მოუწევს.

პირველ ტურში ერთმანეთს შეხვდნენ მსოფლიოს ექს-ჩემპიონები მ. ტალი და ბ. სპასკი. 32-ე სვლაზე გაიმარჯვა ტალმა. მსოფლიოს ჩემპიონმა ა. კარპოვმა რ. ჰიუბნერთან (გდრ) შეხვედრა ყაიმით დაამთავრა. ასევე დაზავდნენ ლ. კავალეკი (აშშ) და ი. ტიმანი (ჰოლანდია). ლ. ლუბოევიჩმა დაამარცხა ბ. ლარსენი (დანია). ლ. პორტიშისა (უნგრეთი) და ვ. ჰორტის (ჩეხოსლოვაკია) პარტია 42-ე სვლაზე გადაიდო.

წილისყრის მიხედვით მოჭადრაკენი ასე არიან განლაგებული: 1. ჰიუბნერი, 2. ლარსენი, 3. პორტიში, 4. ტალი, 5. კავალეკი, 6. ტიმანი, 7. სპასკი, 8. ჰორტი, 9. ლუბოევიჩი, 10. კარპოვი.

მასპინძლობს თბილისი

მშვილდოსნობა შეტანილია სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისა და მოსკოვის ოლიმპიადის პროგრამებში. ამიტომ, მშვილდოსნობაში ყოველ შეჯიბრებას, რომელიც წინ უსწრებს სპარტაკიადასა თუ ოლიმპიადას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება: ეს არის მზადებაც და ძალების გამოცდაც. ერთ-ერთი ასეთი გამოცდა იქნება სსრ კავშირის უძლიერეს მშვილდოსანთა ასპარეზობა, რომელიც დღეს თბილისის იპოდრომზე იწყება. აღნიშნული შეჯიბრება თავისი შემადგენლობით მართლაც რომ ძლიერია. თბილისში ვიხილავთ ჩვენს თანამემამულეს ქეთევან ლოსაბერიძეს, მოსკოველ ემა გაპჩენკოს, დუშამბელ ზებინისო რუსტამოვას, ტამბოველ ოლგა რულენკოს, ლვოველ ვალენტინა კოვპანს. ეს ის სპორტსმენები არიან, რომელთაც მსოფლიოსა და ევროპის პირველობებზე არაერთი წარმატება მოუპოვებიათ.

ამ ტურნირის შემდეგ თბილისი კიდევ ერთხელ უმასპინძლებს მშვილდოსნებს. ეს იქნება საერთაშორისო შეჯიბრება „გაზაფხულის ისრები" (13-16 მაისს).

მეორე ლიგაში

დაიწყო მეორე ლიგის მეოთხე ზონის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ასპარეზობა. ზონაში მონაწილე 24 კოლექტივიდან 7 საქართველოს გუნდია. პირველი ტურის მატჩები ჩვენი რესპუბლიკის 6 კოლექტივის (ასპარეზობის პირველ დღეს სამტრედიის „ლოკომოტივს" არ უთამაშია). მონაწილეობით ასე დამთავრდა: „დინამო" (ზუგდიდი)-„გასტელო" (უფა) 2:0, „დინამო" (სოხუმი)-„ურალეც" (ნიჟნი ტაგილი) — 2:1, „დინამო" (ბათუმი)-„გაზოვიკი" (ორენბურგი) — 1:0, „არაზი" (ნახიჩევანი)-„გურია" (ლანჩხუთი) — 1:3, „დილა" (გორი)-„ტორპედო" (ტოლიატი) — 2:0, „ხაზარი" (ლენქორანი)-„კოლხეთი" (ფოთი) — 1:0. როგორც ხედავთ, საქართველოს გუნდებიდან ხუთმა გაიმარჯვა და მხოლოდ ერთი დამარცხდა.

სპარტაკიადიდან — ოლიმპიადამდე

პასუხს მოგვიანებით მივიღებთ

თავისუფალი ჭიდაობა

სპორტის რომელი სახეობაა ყველაზე პოპულარული რესპუბლიკაში? ალბათ ჭიდაობა, რომლის ფესვები საუკუნეთა სიღრმეში იკარგება და რომელიც დღესაც ერის ჯანსაღ ტრადიციას წარმოადგენს. მაგრამ ჭიდაობაც არის და ჭიდაობაც. საქმე ის არის, რომ ქართულ სპორტს არც ერთ სახეობაში არ ჰყოლია იმდენი ტიტულიანი ათლეტი, რამდენიც თავისუფალ ჭიდაობაში. სწორედ ამიტომ, დღევანდელი საუბრის თემად ეს სახეობა შევარჩიეთ. ამ წერილს კონკრეტული მიზანი აქვს — ერთგვარი წარმოდგენა მაინც შექმნას იმ საკითხებზე, რომლებიც ყველაზე მეტად აწუხებს რესპუბლიკის სპორტულ საზოგადოებრიობას სეზონის ერთ-ერთი მთავარი სტარტის — საბჭოთა კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისათვის მზადების პერიოდში.

მაგრამ, ჯერ რამდენიმე ხასიათის შენიშვნა.

საბჭოთა კავშირის ხალხთა უწინდელ სპარტაკიადებში საქართველოს ნაკრები მეტწილად პრიზიორთა შორის იყო. მან ორჯერ პირველი ადგილი დაიკავა, ორჯერ — მეორე. ერთხელ კი მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა. მაგრამ მეტწილადო, როცა ვამბობთ, ხაზს ვუსვამთ, რომ გამონაკლისი მაინც ყოფილა. დიახ, ერთხელ 1975 წელს საქართველოს ნაკრები სპარტაკიადის გუნდურ ჩათვლაში მისთვის შეუფერებელ VI ადგილზე დარჩა.

ამ გულდასაწყვეტ მარცხს რამდენიმე კონკრეტული მიზეზი ჰქონდა. მათ შორის უმთავრესი ალბათ თაობათა ცვლაა, სპორტში ეს სავსებით ბუნებრივი პროცესია, რომელიც განვითარების შინაგანი ტენდენციიდან გამომდინარეობს და ხშირად მის აწმყოსა და მომავალს განსაზღვრავს.

გარკვეული პერიოდის შემდეგ, რომელსაც სპორტში კრიზისული შეიძლება ვუწოდოთ, ვეტერანები ტოვებენ სარბიელს, მათ ადგილს ახალგაზრდობა იკავებს. აი სწორედ ამ დროს არის საჭირო ყურადღება და სიფხიზლე, რომ, ჯერ ერთი, ცვლა სრულფასოვანი მოვიდეს და, მეორეც, თვით პროცესის ხანგრძლივობა მინიმუმამდე შემცირდეს.

ცნობილია, თუ რა დანაკლისი განიცადა ჩვენმა ჭიდაობამ საბჭოთა კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის შემდეგ. სარბიელი დატოვეს სახელმოხვეჭილმა ფალავნებმა (შ. ლომიძე, ზ. ბერიაშვილი, ნ. ხოხაშვილი, ა. ცხოვრებოვი, ზ. შეყრილაძე, ს. ქარსაულიძე და სხვ.), რომლებიც წლების მანძილზე რესპუბლიკის ნაკრების ძირითად ბირთვს შეადგენდნენ. ამ დანაკლისის შევსება არც ისე იოლი აღმოჩნდა. მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, იყო ღრმად ფესვებგადგმული ტრადიცია, რომლის ძალითაც საკავშირო ჩემპიონატებში ერთხანს კიდევ ვინარჩუნებდით მოწინავე პოზიციას. მერე კი მოხდა მდგომარეობის ე. წ. „სტაბილიზაცია" და ნელ-ნელა შევეჩვიეთ ჩვენთვის განკუთვნილ არასახარბიელო ადგილს საბჭოთა ჭიდაობის ისტორიაში.

დღესდღეობით რამდენიმე საწინააღმდეგო მოსაზრება არსებობს ჩვენს სპორტში ჭიდაობის როლისა და ადგილის შესახებ, მის საერთო მდგომარეობასა და უახლეს პერსპექტივებზე. უფრო გავრცელებულ შეხედულებას თუ ვირწმუნებთ, ბოლო დროს მასობრივ ჭიდაობაში დადებითი ძვრები შეინიშნება.

აღნიშნული შეხედულების მომხრეებს პოზიციის გამაგრების მიზნით კონკრეტული მაგალითებიც მოჰყავთ. ერთ-ერთი ასეთი მაგალითია წლეულს ცხინვალში გამართული ჭაბუკთა რესპუბლიკური პირველობა, რომელიც მართლაც გამოირჩეოდა მასობრიობით. თავად განსაჯეთ. ტურნირში ასპარეზობდა რესპუბლიკის 32 რაიონისა და ქალაქის 450-ზე მეტი ნორჩი მოჭიდავე. შედეგი, რომ იტყვიან, რეკორდულია.

სასიხარულოა ისიც, რომ თორმეტი წონითი კატეგორიიდან ათში პერიფერიების წარმომადგენლებმა იმარჯვეს. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი გორის, ცხინვალის, კასპისა და სოხუმის ნორჩმა ათლეტებმა. მწვრთნელებმა ხალისით დაგვისახელეს რამდენიმე პერსპექტიული მოჭიდავე.

ეს ყველაფერი, ცხადია, გარკვეულ იმედს გვისახავს და გვჯერა კიდეც, რომ მასობრივი ჭიდაობა ამ ბოლო დროს ერთგვარი აღმავლობის გზაზეა. მაგრამ საკითხს მეორე მხარეც აქვს და დღეს სწორედ ეს გვაფიქრებს ყველაზე მეტად. ნელი, ძალზე ნელი ტემპით ხომ არ ხდება მასობრიობის გადასვლა ხარისხში?

ასე უნებლიეთ მივადექით პრობლემათა კიდევ ერთ ახალ ჯგუფს. როგორ, რა გზებით უნდა მოხდეს მასობრიობის გადაზრდა ხარისხში? რა კონკრეტული საკითხებია საამისოდ გადასაჭრელი და დროის რა მონაკვეთი დასჭირდება ამ თვისებრივ ტრანსფორმაციას?



წინასწარ უნდა განვაცხადოთ, რომ დღევანდელი საუბრის თემას სრულებითაც არ შეადგენს აღნიშნულ პრობლემებზე სჯა-ბაასი. ეს უფრო ვრცელი თემაა და მისი გადაწყვეტა ავტორიტეტული ჟიურისთვის მიგვინდია. მდგომარეობის დეტალური ანალიზიც სწორედ მისი საქმეა. ჩვენ კი მხოლოდ სპარტაკიადისთვის სამზადისით შემოვიფარგლებით.

სეზონის მთავარი სტარტისთვის მზადების მოცემულ ეტაპზე მთავარი ყურადღება ეთმობა ორ ტურნირს. ერთი სულ მალე ბაქოში, მეორე კი — რესპუბლიკური სპარტაკიადის ფინალი — მაისში გაიმართება. ამ შეჯიბრებათა შედეგების საფუძველზე დაკომპლექტდება ნაკრები გუნდი, რომლის ძირითადი კონტურები უკვე მოხაზულია.

უნდა ველოდეთ თუ არა არსებითს ცვლილებებს დარჩენილ პერიოდში? ძნელი დასაჯერებელია. რა შეიცვლება, მაგალითად, დაბალ წონითს კატეგორიებში ასეთი მოკლე დროის მანძილზე? — ალბათ არაფერი. მას შემდეგ, რაც ჭიდაობას თავი დაანებეს ზ. შეყრილაძემ, ტ. ალიბეგაშვილმა, რ. დობორჯგინიძემ, გ. ყვარელაშვილმა, ნ. ხოხაშვილმა, აღნიშნულ წონითს კატეგორიებში მაღალი კლასის ოსტატები არცა გვყოლია.

იქნებ მიზეზი ის იყო, რომ ჩვენი სპეციალისტები დიდხანს ვერ ბედავდნენ წვრთნის თანამედროვე მეთოდიკაზე გადასვლას და უნდობლად ელოდებოდნენ სიახლეებს? ან თუნდაც ის, რომ უკანასკნელ წლებში ერთგვარად შესუსტდა კონტროლი სპორტსაზოგადოებების, კლუბებისა და მოზარდთა და ბავშვთა სპორტსკოლების საქმიანობისადმი? არც ის იქნებოდა სწორი, ერთი ან ორი შეჯიბრების მაგალითზე იმედის მომცემი დასკვნები გამოგვეტანა: გორის, კასპის, ცხინვალის ან სოხუმის სპორტულ ორგანიზაციათა თაოსნობა ყურადსაღებია: მაგრამ ისიც ხომ ცნობილია, რომ ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს? განა ყველაფერი რიგზეა ქართლის სხვა რაიონებში ან კახეთში, ან კიდევ დასავლეთ საქართველოში? სხვას რომ თავი დავანებოთ, განა თბილისმა ან ქუთაისმა ამოწურეს თავიანთი შესაძლებლობანი?

სპარტაკიადის დაწყებამდე კიდევ რამდენიმე თვეა დარჩენილა. და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მწვრთნელებს ნაკრების ძირითადი სახე მოხაზული აქვთ. მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ აღნიშნულ პერიოდში ვინმე გამოაკლდეს შემადგენლობას ტრავმის ან სხვა რაიმე მიზეზით. სამზადისის მოცემულ ეტაპზე ყურადღება იმისადმია მიპყრობილი, რომ ნაკრებს რამდენადმე სრულფასოვანი რეზერვი გამოუძებნონ. მაგრამ არც ეს არის იოლი საქმე.

ჩვენს მომავალ მეტოქეთა შორის, პირველ ყოვლისა, რუსეთის ფედერაციას, უკრაინასა და მოსკოვს ასახელებენ. ალბათ ეს გუნდები იბრძოლებენ კიდეც საპრიზო ადგილებისთვის. მაგრამ მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ყაზახეთის, აზერბაიჯანისა და მოლდავეთის მოჭიდავეთა შესაძლებლობებიც. საქმე ის არის, რომ ამ რესპუბლიკებმა შესამჩნევად გააძლიერეს შემადგენლობები რუსეთის ფედერაციის მოჭიდავეთა ხარჯზე და უკვე რეალურ ძალას წარმოადგენენ საკავშირო სარბიელზე.

საქართველოს ნაკრების წევრთა წვრთნას პერიოდულად ვესწრებით ფალავანთა კლუბში. იქ ყველაფერი წესრიგშია, ყველაფერი ზედმიწევნით მოფიქრებული და გააზრებულია. მაგრამ რამდენად გამოხატავს გუნდის დღევანდელი სახე ჩვენი რესპუბლიკის შესაძლებლობებს ანდა შეესაბამება თუ არა მისი დონე მოწინავე საკავშირო სტანდარტებს?

ამ კითხვებზე ამომწურავ პასუხს მოგვიანებით, მხოლოდ სპარტაკიადის შემდეგ მივიღებთ. მანამდე კი მთლიანად უნდა დავეყრდნოთ სპორტსმენთა ენთუზიაზმს, მწვრთნელთა მონდომებას, უნარსა და გამოცდილებას.

ნ. გუგუშვილი.

აღიარება—1920 წლიდან

თავისუფალი ჭიდაობა პირველად III ოლიმპიადის (1904 წელი, სენტ-ლუისი) პროგრამაში შეიტანეს. მომდევნო — ლონდონის ოლიმპიადაშიც (1908 წელი) იასპარეზეს ამ სახეობის ჭიდაობის წარმომადგენლებმა, ხოლო ამის შემდეგ, 1920 წლამდე, თავისუფალი ჭიდაობა ოლიმპიადების პროგრამაში არ შეუტანიათ. 1920 წლიდან (ანტვერპენი) ჭიდაობის მოყვარულთა საერთაშორისო ფედერაციამ (ფილა, დაარსდა 1912 წელს) მიაღწია იმას, რომ თავისუფალი ჭიდაობა ყველა მომდევნო ოლიმპიადის სრულუფლებიანი სახეობა გამხდარიყო.

,,კომუნისტის'' ინტერვიუ

BALLET
GEORGIEN

გზა მშვიდობისა!

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის საანგარიშო კონცერტი ინგლისში გამგზავრების წინ. (სამხატვრო ხელმძღვანელები და ცეკვების დამდგმელები — სსრ კავშირის სახალხო არტისტები, სახელმწიფო და რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების ლაურეატები ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი, ბალეტმაისტერი — საქართველოს სსრ სახალხო არტისტი თენგიზ სუხიშვილი, მხატვარი — სსრ კავშირის სახალხო მხატვარი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი სოლომონ ვირსალაძე).

გაზეთ „კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტი, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ქ. კასრაძე (საკონცერტო

საგასტროლოდ გამგზავრების წინ

◻

პროგრამის წამყვანი) ესაუბრა ი. სუხიშვილს. ქვემოთ ვბეჭდავთ ამ საუბრის ჩანაწერს:

— გაზეთ „კომუნისტის" მკითხველებს კვლავ აინტერესებთ — მერამდენედ მიემგზავრება ჩვენი ანსამბლი ინგლისს?

— მეხუთედ!

— პირადად თქვენ?

— მეშვიდედ. პირველად ქართველ მოცეკვავეთა ჯგუფი ინგლისში ჩავიდა 1935 წელს, ლონდონის პროფესიულ-ინდივიდუალურ შემსრულებელთა ფესტივალზე. ფესტივალის ორგანიზატორები იყვნენ ინგლისის მეფე ჯორჯ V და დედოფალი მარია. ფესტივალის ჟიურიმ პირველი ადგილი და ოქროს მედალი მომაკუთვნა.

ახლა ინგლისში მეხუთედ მივემგზავრებით, ორი თვით—იმპრესარიო გაბის მიწვევით. 20 აპრილს გავფრინდებით მოსკოვს, 22 აპრილს კი — ლონდონს 75 კაცის შემადგენლობით.

3 მაისს ჩვენი აკადემიური ანსამბლი მონაწილეობას მიიღებს ლონდონში საერთაშორისო გამოფენაზე — „საქართველოს დღე", სადაც დაიცავს საბჭოთა საქართველოს ქორეოგრაფიულ. ხელოვნების პრესტიჟს.

— ანსამბლმა ბრწყინვალედ დაძლია იდეურ-მხატვრული ერთიანობის, ტრადიციებისა და ნოვატორობის პრობლემები.

— პროგრამა ეყრდნობა სამ ძირითად პრინციპს: ცეკვების თეატრალიზების, მხატვრული კოსტიუმების და მუსიკალური დრამატურგიის პრინციპებს.

— როგორია რეპერტუარი?

— ინგლისელები ნახავენ განახლებულ პროგრამას. ჩვენი ახალი დადგმებია: „თუშ ქალთა ცეკვა", „გამარჯვება", მასობრივი „სატრფიალო" და „საქორწინო". ამასთან ჩვენი ანსამბლის ოთხმოცი პროცენტი ახალბედა მოცეკვავეები არიან, რომელთა ხელოვნება არ უნახავს ინგლისელ მაყურებელს.

— საგასტროლო მარშრუტი დიდ ბრიტანეთში?

— საგასტროლო ტურნეში შესულია თხუთმეტი ქალაქი. 30 მაისიდან 11 ივნისამდე კონცერტები გვექნება ლონდონში.

—როგორია მომავლის გეგმები?

— წელს ივნისში ერთი თვით საგასტროლოდ გავემგზავრებით საბერძნეთს. ნოემბერში ორი კვირით ვეწვევით რუმინეთს, რათა მონაწილეობა მივიღოთ ბუქარესტის მუსიკის, სიმღერის, ცეკვის საერთაშორისო ფესტივალში.

— გისურვებთ პატივცემულ ნინოს და თქვენ, კვლავ ტრიუმფით მიეღოთ უცხოელებს ჩვენი ხელოვნება, როგორც მომხიბლავი, საოცარი, წარმტაცი, რომანტიკული და მონუმენტური ქორეოგრაფიის დღესასწაული. გზა მშვიდობისა!

— დიდი მადლობა!

არქივარიუსის ჩანაწერები

თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა შედეგები

◻

I სპარტაკიადა (1956 წელი). მირიან ცალქალამანიძე (უმჩატესი წონა), გიორგი სხირტლაძე (საშუალო) — I ადგილები; ვახტანგ ბალავაძე (ქვესაშუალო) — II ადგილი; სერგო გაბარაევი (მსუბუქი), ვალერიან ბათლიძე (მძიმე) — III ადგილები.

II სპარტაკიადა (1959 წელი). ვლადიმერ არსენიანი (მჩატე) — I ადგილი; ვახტანგ ბალავაძე (ქვესაშუალო) — II ადგილი; ანზორ გვიმრაძე (მსუბუქი), გიორგი სხირტლაძე (საშუალო) — III ადგილები.

III სპარტაკიადა (1963 წელი). ვლადიმერ რუბაშვილი (ქვემსუბუქი), ზარიბეგ ბერიაშვილი (მსუბუქი) — I ადგილები; ზაურ შეყრილაძე (უმჩატესი) — III ადგილი.

IV სპარტაკიადა (1967 წელი). შოთა ლომიძე (ქვემძიმე) — I ადგილი; სპარტაკ ქარსაულიძე (ქვემსუბუქი), გურამ საღარაძე (ქვესაშუალო), ზარიბეგ ბერიაშვილი (მსუბუქი), ანდრო ცხოვრებოვი (საშუალო) — II ადგილები.

V სპარტაკიადა (1971 წელი). ტარიელ ალიბეგაშვილი (ქვემსუბუქი), ლევან თედიაშვილი (პირველი საშუალო), შოთა ლომიძე (ქვემძიმე) — I ადგილები; ზაურ შეყრილაძე (მჩატე), ნოდარ ხოხაშვილი (პირველი ქვესაშუალო)— II ადგილები; გივი ყვარელაშვილი (მსუბუქი), რომან მარსაგიშვილი (მეორე ქვესაშუალო) — III ადგილები.

VI სპარტაკიადა (1975 წელი). ლევან თედიაშვილი (ქვემძიმე), ნოდარ მოდებაძე (მძიმე) — II ადგილები.

საქართველოს თავისუფა ლი სტილით მოჭიდავეთა მიერ სპარტაკიადებში მოპოვებული გუნდური ადგილები: 1956 წელს — II, 1959 წელს — III, 1963 წელს —II, 1967 წელს — I, 1971 წელს — I, 1975 წელს — VI.

XV ოლიმპიადა (ჰელსინკი, 1952 წელი). დავით ციმაკურიძე (საშუალო) — I ადგილი.

XVI ოლიმპიადა (მელბურნი, 1956 წელი). მირიან ცალქალამანიძე (უმჩატესი) — I ადგილი; ვახტანგ ბალავაძე (ქვესაშუალო), გიორგი სხირტლაძე (საშუალო) — III ადგილები.

XVII ოლიმპიადა (რომი, 1960 წელი). გიორგი სხირტლაძე (საშუალო) — II ადგილი, ვლადიმერ რუბაშვილი (ქვემსუბუქი) — III ადგილი.

XVIII ოლიმპიადა (ტოკიო, 1964 წელი). გურამ საღარაძე (ქვესაშუალო) — II ადგილი; ნოდარ ხოხაშვილი (ქვემსუბუქი) — III ადგილი, ზარიბეგ ბერიაშვილი (მსუბუქი) — VI ადგილი.

XIX ოლიმპიადა (მეხიკო, 1968 წელი). შოთა ლომიძე (ქვემძიმე) — II ადგილი; ზარიბეგ ბერიაშვილი (მსუბუქი) — V ადგილი.

XX ოლიმპიადა (მიუნხენი, 1972 წელი). ლევან თედიაშვილი (პირველი საშუალო) — I ადგილი.

XXI ოლიმპიადა (მონრეალი, 1976 წელი). ლევან თედიაშვილი (მეორე საშუალო) — I ადგილი

ტელევიზია

13 აპრილი

პირველი პროგრამით

[illegible] — „ვრემია" — საინ
ფორმაციო პროგრამა (მ.), 17.0
— [illegible] — ქი
მია (ფ.), 17.30 — განცხადე
ბები (ფ.), 17.35 — შევისწავ
ლოთ ფრანგული ენა, 18.0
— მოსწავლეთათვის — „ქარ
თული თეატრის წარსული
დან" (ფ.), 18.40 — ქართუ
ლი მოკლემეტრაჟიანი მხა
ტვრული ფილმები „ბზიანეთი"
და „არღანი", 19.15 — შემა
ჯებოდეს ლაშქარსა (ფ.), 19.4
— დღეს მსოფლიოში (მ.)
20.00 — საბჭოთა მეცნიერე
ბის დღისადმი მიძღვნილი სა
ზეიმო სხდომის ვიდეოჩანაწერ
თბილისის ზ. ფალიაშვილის
სახელობის ოპერისა და ბალე
ტის სახელმწიფო აკადემიურ
თეატრიდან, 21.00 — „მოამ
ბე" — საინფორმაციო პროგრა
მა (ფ.), 21.30 — კონცერტ
(ფ.), 22.00 — „ვრემია"
საინფორმაციო პროგრამა (მ.)
22.35 — ქართული სატელევი
ზიო დოკუმენტური ფილმ
„ათონის მატიანე" — პრემიერა

მეორე პროგრამით

18.00 — მასწავლებლის სა
ათი — ქიმია (ფ.), 18.45
განცხადებები (ფ.), 18.50
მულტიპლიკაციური ფილმებ
19.20 — ქართული მხატვრულ
ფილმი „მოიტაცეს თამარ-ქა
ლი". (ფ.), 20.25 — კინონარ
კვევი, 21.00 — გეპატიჟებით
საკონცერტო დარბაზში (ბიბ
კინგი (განმეორებით. ფ.),

რადიო

14 აპრილი

პირველი პროგრამით

06.10 — უკანასკნელი ცნო
ბები, 07.30 — რადიოგაზეთ
„საქართველოს პიონერი", 08.0
— გაზეთ „პრავდის" მიმოხილ
ვა (მ.), 08.38 — ქართული ხა
ლხური მუსიკა, 09.25 — რეს
პუბლიკური გაზეთების მიმო
ხილვა, 11.20 — მსუბუქი სა
ორკესტრო პიესები, 11,30
უკანასკნელი ცნობები, 12.00
ბიოლოგიური მეცნიერება: მიღ
წევები და პერსპექტივებ
12.15 — კონცერტი ს. ცინცა
ძის ნაწარმოებებიდან, 13.0
— დრო, მოვლენები, ადამიანე
ბი (მ.), 13.30 — გაზეთ „პრა
ვდის" მოწინავე სტატია ქარ
თულ ენაზე, 13.40 — საბჭოთ
კომპოზიტორების სიმღერებ
14.00 — ფ. ლოუ — მუზიკლ
„ჩემი მშვენიერი ლედი
15.20 — ელ. ახვლედიანი
კ. მარჯანიშვილის მრწამსი
თეატრალური მხატვარი, 16.1
— რადიოჟურნალი საბჭოთა არ
მიის მეომრებისათვის, 16.5
— კამერულ-ინსტრუმენტული პი
ესები, 17.00 — უკანასკნელ
ცნობები, 17.15 — ბავშვებისა
თვის — კონცერტი-საუბარ
მოცარტი", 18.00 — „მსოფ
ლიოს ერთი კვირის ამბებ
18.10 — მელოდია, რიტმი, გა
ნწყობილება, 18.30 — რესპუ
ბლიკური ცნობები რუსულ ენა
ზე, 19.00 — „შოლტი" — სა
ტირულ-იუმორისტული რადიო
ჟურნალი, 19.30 — ი. ბახი
პირველი ბრანდენბურგის კონ
ცერტი, 20.30 — „ჩვენი ი
ვიათი ჩანაწერები" — მუსიკა
ლური ნარკვევი „მღერის ვა
ნო სარაჯიშვილი", 21.00
ძილისპირული, 21.30 — ახალ
გაზრდობისათვის — „დამკვრ
ლურ-კომკავშირული", 22.0
— სალამო მშვიდობისა!, 22.3
— უკანასკნელი ცნობები, 23.3
— ძველებური მუსიკის კონც
რტი, 23.55 — უკანასკნელ
ცნობები.

თეატრი

13 აპრილი

შოთა რუსთაველის სახელ
ბის სახელმწიფო აკადემიურ
— **კავკასიური ცარცის წრ**
კოტე მარჯანიშვილის სახელ
ბის სახელმწიფო აკადემიურ
— **ბუდე მეცხრე სართულ**
ზე; ვასო აბაშიძის სახელობ
მუსიკალური კომედიის — **სი**
ყვარულის მგოსანი ვარ.
მინიატიურების სახელმწიფო
ფული და სიყვარული; რ
სთავის სახელმწიფო დრამატ
ლი (რკინიგზელთა სახლში)
დარაბებს მიღმა გაზაფხ
ლია; კინოსტუდია „ქართუ
ფილმის" თეატრალური სა
ლონი — **ნამებაი დედო**
ლისა.



საქართველოს შრ
მის წითელი დროშ
ორდენოსანი სასოფლ
სამეურნეო ინსტიტუტი

18 მაისს (კვირას)
საათზე საშუალო სკოლ
დამამთავრებელი კლას
მოსწავლეებისა და სო
ლის მეურნეობაში და
მებული მოწინავე ახალგა
რდობისათვის, რომე
თაც აქვთ სურვილი 19
წლის აგვისტოში მიიღ
მონაწილეობა მისაღებ
მოცდებში, აწყობს

ღია კარის
დღეს

გაიმართება რექტო
ტის, პარტიული და საზ
გადოებრივი ორგანიზაც
ბის, აგრეთვე მაპრო
ლებელ კათედრათა წ
მომადგენლების შეხვედ
ახალგაზრდობასთან პრ
ფორიენტაციის მიზნით.
ხვედრის დროს ჩატარდ
კონკურსი დევიზით „
უკეთ იცნობს არჩე
პროფესიას" რომელიც
მოავლენს გამარჯვებულ
სპეციალობათა მიხედვით

კონკურსში გამა
ვებულებს მიეცემათ უ
რატესობა ჩარიცხვის დრ
დებულებით გათვალ
წინებული შეღავათე
მიხედვით.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილ

კომუნისტი

ჩვენი მისამართი
და ტელეფონები:

380096 თბილისი-96,
ლენინის 14.

რ ე დ ა ქ ც ი ა:

რედაქტორის მოადგილეების — 99-98-08, 99-08-09, **პ/მდივნის** — 99-72-80, **სამდივნოსი** — 99-66-10, **განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების** — 99-87-61, **მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის** — 93-22-98, **მრეწველობისა და ტრანსპორტის** — 93-20-34, **სოფლის მეურნეობის** — 99-52-46, **საბჭოთა მშენებლობის** — 93-18-70, **მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების** — 93-27-58, **ლიტერატურისა და ხელოვნების** — 99-55-01, **კორესპონდენტთა ქსელის და პრესის მიმოხილვის** — 93-95-98, **ადგილობრივი ინფორმაციის** — 93-16-90, **უცხოეთის ინფორმაციის** — 99-60-21, **მშრომელთა წერილების** — 99-78-24, **ილუსტრაციის** — 93-28-54, **საზოგადოებრივი მისაღების** — 93-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:

მოსკოვი — 431-08-52; **სოხუმი** — 2-40-19; **ბათუმი** — 3-41-69; **ცხინვალი** — 2-22-52; **ქუთაისი** — 5-26-36; **გორი** — 2-33-10; **ახალციხე** — 2-03-15; **ზუგდიდი** — 28-40; **ცხაკაია** — 2-23-44; **მახარაძე** — 6-34-44; **ზესტაფონი** — 27-58; **თელავი** — 12-09; **წითელწყარო** — 23-66; **ტყიბული** — 25-82.



საქართველოს კპ ცკ-ის
გამომცემლობის სტამბა,
380096, თბილისი-96,
ლენინის ქ. 14.

◆

იბეჭდება ოფსეტური
წესით საგაზეთო
კორპუსში, ხომარაულის, 29.

● КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 ● უე 02123 ●

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17